პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი, № 182 (12998) | ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

17.600 მანეთის ეკონომია

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი კ. ცირეკიძე) ვალდებულება იკისრა სეზონში გადაამუშაოს 1.715 ტონა „მწვანე ოქრო". დღემდე ფაბრიკამ გადაამუშავა 1.412 ტონა „მწვანე ოქრო". პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 17.600 მანეთის ეკონომია.

ფაბრიკის კოლექტივმა ჩაის ფოთლის გადამუშავების 3 თვის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა.

ივ. თოფურია.

ნ. ს. ხრუშჩოვი განაგრძობს მოგზაურობას სსრ კავშირში

სადგ. ჩაპურნიკი. (ვოლგოგრადის ოლქი), 5 აგვისტო. (საკდესი). მესამე დღეა გზაში დგას სპეციალური მატარებელი, რომლითაც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობს ნ. ს. ხრუშჩოვი. დღეს მატარებელი კვლავ დიდი ხნით გაჩერდა, ამჯერად ვოლგოგრადის ოლქის ჩაპურნიკის სადგურში.

სადგურის შორიახლოს მდებარეობს საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონი", რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია. საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონი" ათი წლისაა. თავის შექმნას იგი ვოლგა-დონის არხს უნდა უმადლოდეს და სახელსაც ამ არხისას ატარებს. ათი წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობა გადაიქცა სარწყავი მიწების მსხვილ მეურნეობად. აქ მთავარი დარგებია მეცხოველეობა და მებოსტნეობა. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობა იმდენ ბოსტნეულს აწარმოებს, რომ ვოლგოგრადის მცხოვრებთა საჭიროების მესამედს აკმაყოფილებს. ნიკიტა სერგის-ძე თავის არაერთხელ ყოფილა ამ საბჭოთა მეურნეობაში. მისმა პრაქტიკულმა შენიშვნებმა, რჩევებმა და რეკომენდაციებმა მეურნეობის უფრო ინტენსიურად წარმოების შესახებ კარგი ნაყოფი გამოიღო. ამაში მაშინვე დარწმუნდებით, როგორც კი გადახედავთ სიმინდის ყანებსა და ბოსტნებს. ამას მოწმობს საბჭოთა მეურნეობის სტატისტიკაც. წელს საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონი" მიიღებს 5.400 ცენტნერ ხორცს, 30 ათას ცენტნერ რძეს, მილიონ 800 ათას ცალ კვერცხს, 125 ათას ცენტნერ ბოსტნეულს.

საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონში" ხუთი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. ეს ძირითადად ახალგაზრდობაა. საბჭოთა მეურნეობის მცხოვრებთა საშუალო ასაკი 27 წელია. ხუთ სკოლაში რვაასამდე ბავშვი სწავლობს. საბჭოთა მეურნეობის დაბებში ქალაქის ტიპის სახლებია. მაგალითად, ახლა მთავრდება მეოთხე ოთხსართულიანი საცხოვრებელი შენობის აგება. მალე გაიხსნება დიდი სასურსათო მაღაზია, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა მეურნეობის დაბების ირგვლივ გადაშენდებული ველები იყო. ახლა კი ქუჩებში ვერხვი, აკაცია, ხეხილი, უამრავი ყვავილი ხარობს.

ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ვოლგოგრადის ოლქის კოლმეურნეობა „რუსეთის" მიწები. ამ სამარცვლო მეურნეობაში უკვე მომკილია მთელი პური, თითქმის მეოთხედი გალეწილია. მოსავალი კარგია, მოსალოდნელია, რომ კოლმეურნეები ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერს მოიწევენ. სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა კოლმეურნეობამ უკვე შესრულა. მიწათმოქმედებმა ვალდებულება იკისრეს ორი გეგმა შეასრულონ.

კონფერენცია სოფლის მშრომელთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხებზე

მოსკოვი, 5 აგვისტო. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო კონფერენცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური დაინტერესების გადიდების საკითხებზე. კონფერენცია მოეწყო სსრ კავშირის მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების თანახმად.

კონფერენციის მონაწილენი შეისწავლიან მეურნეობებში შრომის პროგრესული ორგანიზაციის გამოცდილებას, განიხილავენ წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესების საკითხებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა მატერიალური სტიმულირების გადიდების საკითხებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი დ. ს. პოლიანსკი და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. პ. ვოლოვჩენკო.

შვიდწლედი — ვადამდე

დამაჯერებითი სახსრები — სახალხო მეურნეობას

რუსთაველი მეტალურგიისა და თბილისელი ჩარხმშენებლების მოწოდების პასუხად

ელმავალმშენებელთა პაჭრიოული შემართება

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელო ქარხანაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა რუსთაველ მეტალურგთა და თბილისელ ჩარხმშენებელთა პატრიოტულმა თაოსნობამ. ელმავალმშენებლებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წელს აღკვეთონ წარმოების ზარალი და მიიღონ 60 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, ამასთან დაზოგონ 16 ტონა ფერადი და 200 ტონა შავი ლითონი. ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებს წლიური გეგმის 28 დეკემბრისათვის შესრულებას.

შვიდი თვის შრომითი შედეგები მეტყველებენ, რომ ქარხნის კოლექტივი მონდომებით იბრძვის ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით. განველილ იქვს თვეში დაზოგილია 12 ტონა ფერადი ლითონი, ხოლო შავი ლითონის ეკონომიამ 56 ტონას გადააჭარბა. დაზოგილი ლითონი დამატებით ორ ელმავალს მოგვცემს.

კერამიკოსების დაპირება

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელობით გაეცნენ რუსთაველი მეტალურგების და თბილისელი ჩარხმშენებლების კეთილ თაოსნობას — განვახორციელოთ მომჭირნეობის მტკიცე რეჟიმი წარმოების ყველა უბანზე.

კერამიკოსებმა გადასინჯეს ყველა არსებული შესაძლებლობანი, დასახეს კონკრეტული გზები ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის, რომელიც მოხმარდება წარმოების გაფართოებასა და ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, და გადაწყვიტეს:

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მოწყობილობის მაქსიმალური გამოყენებით გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 2,5 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 2, 4 პროცენტით;

მომჭირნეობის მტკიცე რეჟიმის განხორციელების გზით გასავლის ყველა მუხლში აღკვეთონ გადახარჯვები და წლის ბოლოს სახელმწიფოს მისცენ 60 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.



ყარაგან შრომობს წყალტაბოს საწარმოო სამმართველოს სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარის" მექანიზატორი თენგიზ ამაღლობელი. მის ანგარიშზეა 820 ჰექტარი დამუშავებული საკოლმეურნეო მიწები, შარშანდელზე ბევრად მეტი. მინდვრის ყველა სამუშაო მან საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შეასრულა. მოწინავე მექანიზატორი ამჟამად სიმინდის კულტივაციაზე მუშაობს.

სურათზე: თ. ამაღლობელი.

ფოტო ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

წლიური გეგმა — ვადამდე

ქოგულეთი. (საკ. კორ.). ურეხელმა მეჩაიეებმა ვადამდე, 31 ივლისისათვის სასახელოდ შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს 270 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო" ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 266 ტონისა.

ურეხელი მეჩაიეების გადაწყვეტილებაა გეგმის ზევით სამშობლოს მისცეს 50 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მკიანი პურეულს

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბეჭითად მუშაობენ სილნაღლის საწარმოო სამმართველოს მხვნელ-მთესველები. სილნაღლელებმა წელს რესპუბლიკაში ყველაზე მეტი პურეულის მოსავალი უნდა აიღონ. ასაღები აქვთ 46.421 ჰექტარი. ეს სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდება. პირველი აგვისტოსათვის მომკილი იყო 45.876 ჰექტარი, რაც გეგმის 98,8 პროცენტს შეადგენს.

ყვარლის საწარმოო სამმართველოში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება კარგა ხანია დაამთავრეს. თელავის საწარმოო სამმართველოში მკის გეგმა შესრულებულია 93,8 პროცენტით, გურჯაანის — 98,8, სანარეჯოს — 70,2, ბარდანის — 91,7, ბოლნისის — 69,7, თეთრი წყაროს — 35,3, დუშეთის — 23,8, მცხეთის — 63, გორის — 46,2, ხაშურის — 59,4, ახალციხის — 27,8, საჩხერის — 43,2, ამბროლაურის — 19, ცაგერის — 11,2, მაიაკოვსკის — 60, წულუკიძის საწარმოო სამმართველოში — 86,4, ხოლო სამხრეთ ოსეთის აპგონოვიური ოლქში — 21,5 პროცენტით.

სულ რესპუბლიკაში პურეულის მოსავალი მომკილია 159.100 ჰექტარზე, რაც გეგმის 60,6 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს მთავრობათა ერთობლივი განცხადება

შარშან ამ დღეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ამ ხელშეკრულებამ წინ წასწია ჩვენი პლანეტა მშვიდობის შემდგომი განმტკიცების გზაზე. იგი ხელს უწყობს გამალებული შეიარაღების შეფერხებას. იგი ყველა ქალსა და კაცს უნერგავს რწმენას, რომ ისინი და მათი შვილები უფრო სუფთა ჰაერს ისუნთქავენ და უფრო ჯანსაღ და ნაკლებად მოწამლულ მსოფლიოში იცხოვრებენ. ჟენევის განიარაღების მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში. უნდა აღინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ თანის დადებითი როლი სამ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებია საქმეში.

ხელშეკრულების დადების მომენტიდან მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა — 100-ზე მეტი — შეუერთდა სამ თავდაპირველ მონაწილეს. მას შემდეგ განხორციელდა დამატებითი, თუმცა შეზღუდული ღონისძიებანი, კაცობრობისათვის ატომური საფრთხის შესამცირებლად. ასეთია გენერალური ასამბლეის 1963 წლის 17 ოქტომბრის რეზოლუცია იმის შესახებ, რომ კოსმოსურ ორბიტაზე არ გაიყვანონ მასობრივი განადგურების იარაღი, და ღონისძიებანი, რომლებიც სსრ კავშირმა, შეერთებულმა სამეფომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს მიმდინარე წლის პირველ თვეებში პლუტონიუმისა და გამდიდრებული ურანის წარმოების შემცირების მიზნით. ეს მნიშვნელოვანი და სასარგებლო ნაბიჯებია, მაგრამ მაინც მხოლოდ პირველი ნაბიჯები. უნდა გადაწყდეს კიდევ სერიოზული პრობლემები და უთანხმოებანი, რათა მტკიცედ დავადგეთ გამალებული შეიარაღების შენელების გზას, მივაღწიოთ ეფექტიან განიარაღებასა და საამედო მშვიდობას. ჩვენ გულწრფელად ვხრუნავთ ყველა ერის ნამდვილი ინტერესებისათვის და კონსტრუქციულ ღონისძიებებს ვახორციელებთ ამ ინტერესების შესაბამის შეთანხმებათა მისაღწევად და შეგვიძლია კვლავაც წინ გავსწიოთ მშვიდობის გზაზე.

აღვნიშნავთ რა ატმოსფეროში კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადების პირველ წლისთავს, ვაცხადებთ, რომ ვანხორციელებ ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ მოლაპარაკების გზით მოწესრიგდეს გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები, რათა განვმტკიცოთ საყოველთაო მშვიდობა, რომლის სიკეთით ისარგებლებს ყველა სახელმწიფო.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

სარატოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „დეკაბრისტში" 1964 წლის 4 აგვისტოს

ძანების დათვალიერების დროს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, საწარმოო სამმართველოს უფროსმა, ოლქის ხელმძღვანელებმა უკვე მოგვახსენეს თქვენი ყამირის საბჭოთა მეურნეობის შესახებ, იმაზე, თუ რა წარმატებებია მიღწეული მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში. ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი მუშობის შედეგებით, ყოველივე იმით, რაც ვნახე თქვენსა და სხვა მეურნეობებში.

თავის დროზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთდა ანგარიში შენები იმისათვის, რომ მათ ჰქონდათ მიწის უზარმაზარი მასივები და არსებობად სახელმწიფოს არ ანძლევდნენ არც მარცვალს, არც მეცხოველეობის პროდუქტებს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ ცნო გარდაიქმნას ცხენსაშენი, საბჭოთა მეურნეობების მუშაობა, მოიხნას ყამირი მიწები, რომლებიც მათ აქვთ, გადაიქცეს ეს მეურნეობანი მარცვლის, ხორცის, რძის მსხვილ მწარმოებლებად. ამასთან ერთად, რასაკვირველია, ცხენსაშენებმა სახელმწიფოს გარკვეული რაოდენობით უნდა მისცენ მაღალხარისხოვანი ცხენებიც.

საბჭოთა ხალხს ახარებს, რომ ცხენსაშენების მუშაკებმა სწრაფად გარდაქმნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება. წინათ ხომ ამ მინდვრებში ვაციწვერა იზრდებოდა. სახელმწიფო ამ მიწებიდან ერთ უუთ მარცვალსაც არ იღებდა. არ ვიცი, რამდენად რენტაბელურია მეცხენეობა. მითხრეს, რომ ცხენსაშენები საკუთარი ცხენებისთვისაც ყიდულობდნენ მარცვალს სახელმწიფოსაგან, ვფიქრობ, მეცხენეობა სამეურნეო ანგარიშზე რომ ყოფილიყო, ცხენსაშენებს მიწებისათვის, რომელსაც ისინი ფლობდნენ სახელმწიფოო რომ ფულს ახდევინებდეს, მაშინ ბევრი ყოფილი ცხენსაშენის ხელმძღვანელები გაკოტრდებოდნენ.

პარტიამ დროულად გააკრიტიკა მეცხენეობის მეურნეობანი, დაეხმარა გარდაქმნათ თავიანთი მუშაობა. და ახლა მიწებზე, რომლებიც წინათ ცხენსაშენებს ეკუთვნოდათ, განლაგდა საბჭოთა მეურნეობა „დეკაბრისტი". შარშან საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სახელმწიფოს მისცა 1100 ათას ფუთზე მეტი მარცვალი, ხოლო წელს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 1.750 ათასი ფუთი მარცვალი. აი რა სიმდიდრე მისცეს ხალხს ყოფილმა ვაციწვერას ველებმა!

როცა ჩანაგებს ვთვალიერებდით, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ხარობდა მწიფე ხორბლის ვრცელ მასივებს რომ უყურებდა. მათთან ერთად ვხარობდით ჩვენც, ხორბლის მოლიან ზღვას რომ ვხედავდით. ეს ძალიან კარგია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობანი კვლავაც ვზრდოთ მარცვლისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

ახლა არ ვაპირებ ვილაპარაკო თქვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე. ისინი, როგორც ჩანს, თქვენ თვითონ კარგად იცით. გამოცდილი ადამიანები ხართ და თვითონ უნდა ამჩნევდეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის წარმოების ორგანიზაციაში. მაგრამ მინდა მაინც ყურადღება მივაქციო იმ საკითხებს, რომლებიც უნდა გადაჭრას თქვენმა კოლექტივმა, აგრეთვე ბევრმა სხვა მეურნეობამაც. თქვენ ყველამ ნახეთ, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ვერ ასწრებენ ჩალის აღებას უანებიდან. ტრაქტორისტები იძულებული არიან გვერდი აუარონ ჩალის გროვებს, და ხვნა არაა თანაბარი გამოდის, რაც საბოლოო ანგარიშით გავლენას ახდენს მოსავალზე. საჭიროა სწორად მოვაწყოთ ჩალის აღება. როგორც ჩანს, უნდა გამოვიყენოთ უკრაინის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება. იქ ჩალის აღების ტექნოლოგია ასეთია: კომბაინს აქვს საქუცმაცებელი, დაქუცმაცებული მასა მიდის მისაბმელ ურიკაში. როგორც კი ურიკა აივსება, ტრაქტორი გზაზეს ჩალას ძნის დადგმის ადგილას. ამასობაში კომბაინს აბამენ მეორე ურიკას. ამრიგად უანა ღვარეულების აღებასთან ერთად თავისუფლდება ჩალისაგან. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. ბზესთან და ჩალასთან ერთად ურიკაში მიდის სარეველების თესლიც და ისიც გაიქეთ უანიდან. თუ ჩალას ბულულებად დაიწყობენ ყანებში, მაშინ სარეველების თესლი ხვდება ნიადაგში, იზრდება მიწების დასაბინძურებლად.

მართალია, ჩალის აღების ასეთი წესი მოითხოვს, რომ ბრუნვაში მუდამ გარკვეული რაოდენობით გვქონდეს ურიკები, რათა შეუფერხებლად გადავზიდოთ საწყობებში დაჭრილი ჩალა. მაგრამ ეს უნდა ვქნათ, რადგან არსებობად ყანაში ხდება ჩალის გადამუშავება საკვებად. დაჭრილი ჩალის ძნებად დაწყობა ადვილია. შეიძლება დიდგას ვენტილატორები და ჰაერით მივაწოდოთ იგი გარკვეულ სიმაღლეზე.

ჩალის აღების სხვა მეთოდი წამოაყენა ტაგანროგის საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორმა ამბ. იზაკსონმა. მან გადაწყვიტა ჩალის აღების დროს არ გამოიყენონ ურიკა და შექმნა ორიგინალური კონსტრუქცია. მე ვნახე კინოფილმი, რომელიც აუწყებს როსტოვის გამოცდილებას. როგორია ამბ. იზაკსონის წინადადება? კომბაინზე საქუცმაცებელთან ერთად კიდებენ გასამკვრივებელს. დაჭრილი ჩალა მიდის გასამკვრივებელში და იქ საგაკეთოს საშუალებით იწნებება, მკვრივდება. შემდეგ ავტომატურად გამკვრივებული ბულული იყრება ყანაში, აქვე ბულულს უახლოვდება ტრაქტორი, რომელსაც აქვს ასაკრები მანქანა და გამკვრივებული მასა გაიქეს ყანის ბოლოში, ან რომელიმე სხვა ადგილას. მე ვეცდები წარმოების პირობებში გავეცნო ჩალის აღების მეთოდს, რომელიც ამბ. იზაკსონმა წამოაყენა, და მაშინ გამოვთქვამ ჩემს აზრს.

რაც შეეხება უკრაინის მეთოდს, მას უკვე არა ერთი წელია იყენებენ და დადებით შედეგები მოგვიც. უნდა მოვახერხოთ მრეწველობას, რათა, წარმოება უზრუნველყოს საკმარი რაოდენობით მისაბმელი ურიკებით, განსაკუთრებით საკვოთა დავნერგოთ ეს მეთოდი ყამირის საბჭოთა მეურნეობებში. სადაც ცოტა მუშახელია, რასაკვირველია, როცა ვამბობ „ცოტა" მუშახელია-მეთქი, მხედველობაში მაქვს დღეკვნდელი დღე. დარწმუნებული ვარ, რომ ორი-სამი წლის შემდეგ კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის კვალობაზე ზედმეტი მუშახელიც კი გვეყოლება.

ამჟამად ყანებში მოდის მძლავრი ტრაქტორი „კიროველი — 700". იგი საშუალებას მოგვცემს ორ-სამჯერ გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება უმნიშვნელოვანეს სამუშაოებზე.

ახლა მინდა რამდენიმე შენიშვნა მოგცეთ თქვენი მარცვალსაწმენდი მანქანების სისტემის შესახებ. თქვენ დააგრეგატეთ ძველი მარცვალსაწმენდი ამარიები და გააკეთეთ მარცვალსაწმენდი ხაზი. ეს ძალიან კარგად გააკეთეთ. მინდა მადლობა გადავუხადო ამისათვის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერს ამბ. ვ. ვ. ლუბკოვს, მარცვლის გაწმენდის პუნქტების ინიციატორსა და ორგანიზატორს. მაგრამ თქვენი ხაზი გააკეთეთ ძველი ნაკლებად მწარმოებლური მანქანებისაგან. ეს რა თქმა უნდა, საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრალი როდია. ახლა უნდა მოსთხოვოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხნებს, რათა უზრუნველყონ მარცვალსაწმენდი სტაციონარული ან მოძრავი, მაგრამ უკვე დაგრეგატებული დიდად მწარმოებლური მანქანების გამოშვება.

ვუბრუნდები იმას, რაზეც უკვე თავის დროზე ვილაპარაკე, როცა ვეწვიე ყამირ მიწებს. ჩვენ უფრო დაკვირვებით და მიზანდასახულად უნდა მოვეკიდოთ მარცვლის გადაზიდვის ორგანიზაციას, მოდით გავიანგარიშოთ, რამდენი მანქანა იგზავნება პურის გადაზიდვის დროს მარტო თქვენს საბჭოთა მეურნეობაში. ავტომანქანები თქვენთან მოდის ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან. მნიშვნელოვანი რაოდენობით მანქანებს გზავნიან სამხედრო ნაწილები მოსავლის აღების დროს. ყოველივე ეს ძვირად უჯდება სახელმწიფოს. საეჭვოა, რომ გონივრულად ვიქცევით, როცა ვისახავთ ამოცანას — მოსავლის აღებასთან ერთად მთელი მარცვალი გავიტანოთ ელევატორებში ან სახელმწიფო საწყობებში.

დიდ მეურნეობებში უნდა ვიქმნიოთ საკუთარი მარცვალსაცავები. საბჭოთა მეურნეობა ან კოლმეურნეობა გადაამუშავებს მარცვალს, მიიყვანს მას საჭირო კონდიციამდე და შეინახავს საწყობებში. ხოლო შემდეგ, როცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონი მიიწურება, მეტი თავისუფალი დრო იქნება, შეიძლება გადავზიდოთ მარცვალი ელევატორებში ან დასამზადებელ პუნქტებში, ამისათვის საჭირო იქნება გაცილებით ნაკლები ავტომანქანები, ვიდრე ახლა ვიყენებთ მოსავლის აღებისა და პურის დამზადების დროს. ამ შემთხვევაში მარცვლის გადაზიდვა მნიშვნელოვნად უფრო იაფი დაჯდება. მაგრამ ამისათვის უნდა ვიქონიოთ საწყობები უშუალოდ დიდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ხმა ადგილიდან: ჩვენ ბევრი მარცვალი გვაქვს.

ნ. ს. ხრუშჩოვი: რამდენ მარცვალსაც აწარმოებთ, იმდენი საწყობიც უნდა გქონდეთ. თუ აწარმოებთ მილიონ ფუთს, მაშასადამე, საბჭოთა მეურნეობაში უნდა გქონდეთ მილიონნი ფუთისათვის გათვალისწინებული საწყობები, ხოლო თუ ორ მილიონ ფუთს მიჰყიდით სახელმწიფოს, მაშინ საწყობებიც ამის შესაბამისად უნდა გქონდეთ. მე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც შევხვდი ფერმერებს, გავეცანი იქ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციას. ამერიკელ მსხვილ ფერმერს აქვს საკუთარი საწყობი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილია ლითონის საწყობების საკარხნო წარმოება. მიდიხარ გზაზე და ხედავ ბევრ დიდ რკინის ავზებს, დაახლოებით ისეთებს, რომლებშიც ჩვენ საწვავს ვინახავთ. ფერმერი მარცვალს ინახავს საკუთარ საწყობში, მერე კი ეძებს მეიდველს და მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ მარცვალს გზავნის ელევატორში.

შესანიშნავი ხორბალი მოიწიეთ თქვენს უანებში. ჩვენი ქმაყოფილება უკვე გამოთქვით უანაში, როცა ვთვალიერებდით ხორბალს. მაგრამ ამასთან თქვენმა ხორბალმა ზოგიერთი აზრი წარმოშვა. ნება მიბოძეთ გაგიზიართ ეს აზრები.

მინდა თქვენს წინაშე დავსვა ასეთი საკითხი: როგორ უნდა ვაწარმოოთ უფრო სარგებლიანად, ეკონომიურად სამარცვლე მეურნეობა ველიან ზოლში — მოთესავს ანეულზე თუ მოთესილ ანეულზე, ესე იგი ვთესოთ ხორბალი მზრალად და შევარჩიოთ შესაბამისი წინამორბედები? ამის გამო ვაჩაღლებულია დიდი დავა. ერთ დროს ეს დავა თითქოს მიწყვარდა, შემდეგ კი ისევ წარმოიშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე. როგორც ჩანს, ამ საკითხს კვლავ აღძრავთ მომავალ პლენუმზე, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მოწვეულ იქნება მომდინარე წლის ნოემბერში.

არ მინდა ჩავახმო გაჩაღებული დავა მოთესავ ანეულში ხორბლის თესვის ეფექტიანობის შესახებ მზრალად ნათესთან შედარებით ჩემი ავტორიტეტით და მდგომარეობით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩემი მდგომარეობით. ჩემი ავტორიტეტი ამ საკითხში გადამწყვეტი არ არის იმიტომ, რომ უშუალოდ წარმოებას არ ვეწევი, ხოლო ჩემი მდგომარეობა პარტიაში მეტად მაღალია, ამიტომ მმართებს ფრთხილად მოვეკიდო ფაქტებს, რათა ჩემი ავტორიტეტითა და მდგომარეობით არ ჩავაბნო ის ახალი, რაც იბადება.

როგორ უნდა გადავჭრათ ეს საკითხი? ვინ უფრო მართალია გაჩაღებულ დავაში, ჩვენი ქვეყნის ველიან რაიონებში მოთესავი ანეულის როლის შეფასებაში? ჩემი აზრით ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ანალიზის საფუძველზე, იმ გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, რომელიც შეიძინეს სამეცნიერო დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. აქ მთავარი არბიტრი უნდა იყოს ფაქტი, გაანგარიშება. მოდით უფრო კონკრეტულად მივუდგეთ იმას, რამდენი მარცვალი მოჰყავთ ჰექტარზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოთესავ ანეულში და რამდენი მარცვალი მოჰყავთ ორი მოსავლის დროს მზრალად ნათესებში. სარატოვის ოლქის პრაქტიკიდან ასეთი ციფრები დამისახელეს: მოთესავ ანეულში ხორბლის მოსავალი შეადგენს 25 ცენტნერს ჰექტარზე, ყველაზე ხელსაყრელ წლებში იგი 30 ცენტნერს აღწევს. მზრალად დათესილი ხორბლის მოსავალი 15-20 ცენტნერს შეადგენს, ხოლო ყველაზე ხელსაყრელ პირობებში — 22-23 ცენტნერს ჰექტარზე. აი ახლა ანგარიშით სარგებლიანობა.

მოთესავ ანეულში ორ წელიწადში ერთხელ მოგყავთ 25 ან 30 ცენტნერი მარცვალი, ეს თითქოს ცუდი არ უნდა იყოს, მზრალში, კი, რაც მოსავალი 15-20 ცენტნერია ჰექტარზე, კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ორ წელიწადში იღებს 30-40 ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე გაანგარიშებით. ამრიგად, თუ ჩვენს მონაცემებს დავეყრდნობით, შეიძლება თქვას, რომ საშუალოდ ორ წელიწადში მზრალად დათესილი ხორბალი იძლევა მოსავალს ჰექტარზე გაანგარიშებით 10 ცენტნერით მეტს, ვიდრე მოთესავ ანეულში დათესილი ხორბალი.

ამასთან დანახარჯები მზრალზე მიღებული ცენტნერი პროდუქციისათვის, ალბათ, ნაკლები იქნება ვიდრე მოთესავ ანეულში მიღებული ცენტნერი პროდუქციისათვის. პრაქტიკულად დანახარჯები მოთესავი ანეულის დამუშავებისათვის იქნება არა ნაკლები, არამედ შესაძლოა, მეტი, ვიდრე ხორბლის თესვა-მოყვანისათვის (მოსავლის აღების დანახარჯების გამოკლებით). საანეულო მინდორი უნდა მოვხნათ. ზაფხულის განმავლობაში მოთესავი ანეული ორ-სამჯერ უნდა დავამუშაოთ, თუ მას არ დავამუშავებთ, ანეული ზაფხულის ნახნავზე უარესი იქნება. იგი დასდება და გაჩენილი ბზარებიდან აორთქლდება ტენი. ასეთი ანეული ნიადაგი გაშრება და საჭირო ეფექტს არ მოგვცემს.

ვიმეორებ, რომ ჩემს მსჯელობაში ვეყრდნობი ამ მონაცემებს, რომლებიც დამისახელეთ. საჭიროა, რა თქმა უნდა, ეს გაანგარიშებანი ყოველმხრივ შევამოწმოთ. ამასთან არ შეიძლება ანალიზის დროს მხოლოდ ერთი წელი ავიღოთ. სოფლის მეურნეობაში, როგორც ცნობილია, წელიწადი წელიწადზე არ მოდის. ამიტომ უნდა ავიღოთ უფრო ხანგრძლივი მონაკვეთი — შესაძლოა, ხუთი, ათი წელიც კი — და ფაქტიონ ვიანგარიშოთ, ეკონომიურად რა უფრო ხელსაყრელია — თესვა მარცვალი მოუთესავ ანეულში თუ მზრალად.

თუ გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ თქვენს პირობებში უფრო ხელსაყრელია მოუთესავი ანეული, რომ ჰექტარზე გაანგარიშებით იგი იძლევა მეტ მარცვალს და უფრო ნაკლები თვითღირებულებით, მაშინ მოუთესავ ანეულს ვემხრობი, მაგრამ თუ გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ უფრო ეკონომიური და ხელსაყრელია მზრალად დათესილი ხორბლის მოყვანა, თუ ჰექტარზე გაანგარიშებით მიღებულ იქნება მეტი მარცვალი და ამასთან უფრო იაფი, მაშინ ვემხრობი მზრალად დათესილ ხორბალს.

მხოლოდ ასე შეიძლება მივუდგეთ ამ საკითხის გადაჭრას. კარგია ის სისტემა, რომელიც გვაძლევს მეტ მარცვალსა და სხვა პროდუქტს, და მაშასადამე, შესაძლებელს ხდის მეტი დოვლათი დავაგროვოთ ჩვენი ხალხისათვის. ყოველივე ეს ყურადღებით აწონ-დაწონეთ, მოიწვიეთ სპეციალისტები, მეცნიერები, გამოცდილი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება.

მით უმეტეს თქვენ უნდა აწონ-დაწონოთ ყოველივე ეს იმიტომ, რომ არც ისე ბორეულ წარსულში მიწათმოქმედების სისტემა, რომელიც თქვენს ოლქში ინერგებოდა, ხელს უშლიდა მიწის მწარმოებლურად გამოყენებას, პროდუქციის წარმოების ზრდას. ერშოვის რაიონი აკადემიკოს ვ. რ. ვილიამსის საყრდენი ბაზა იყო. თქვენი ერთგვარი ემბლემა კაპუტი იყო. არ ვიცი, რა მოსავალს იძლეოდა იგი, მაგრამ ცნობილია, რომ მაშინ სარატოვის ოლ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

არ ვიცი რამდენად ზუსტია ეს ციფრები, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ სილოსის დანაკარგი მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკმაოდ დიდია.

ამიტომ უნდა გადავიდეთ სილოსის შენახვაზე სასილოსე თხრილებში. თუ დიდ თხრილს გავთხრით, ეს კი განსაკუთრებით ადვილია ფერდობ ადგილზე, ადგილობრივი რელიეფის გამოყენებით, შემდეგ კი ამ თხრილის რკინაბეტონის ფილებით მოვაპირკეთებთ, მივიღებთ შესანიშნავ ხანგამძლე საცავს. ასეთი წესით შენახვის დროს არ გვექნება სილოსის ნარჩენები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 20 პროცენტით გავზარდოთ საკვების რესურსები, იმიტომ, რომ ის, რაც ახლა იკარგება არასრულყოფილი წესით შენახვის დროს, სრულფასოვან საკვებად დაგვრჩება. შესაძლებელია, რომ თქვენ უცებ ვერ შეძლებთ ასეთ საცავებზე გადავალას. მოპირკეთებული თხრილების აშენებას კაპიტალდაბანდება სჭირდება. უნდა შეადგინოთ გეგმები და თანდათანობით გადახვიდეთ სილოსის შენახვის სრულყოფილ მეთოდებზე.

ახლა მეცნიერებამ და პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია დავამზადოთ მაღალხარისხოვანი სილოსი. საჭიროა მოვაწყოთ ცილოვანი და სხვა დანამატების სამრეწველო წარმოება, რაც სილოსის ხარისხის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა, რომლის შედეგად თავიდან იქნება აცილებული ძვირფასი საკვების დანაკარგი.

დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მეურნეობაში შრომის სწორი ორგანიზაციისა და მისი ანაზღაურების საკითხებს. უნდა ითქვას, რომ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახლანდელი სისტემა იწვევს გაუპიროვნებას და უპასუხისმგებლობას. ერთ ყანაში მუშაობს ათობით ადამიანი. ერთი ხნავს, მეორე თესავს, მესამე იღებს მოსავალს. თითოეულის შრომა ნაზღაურდება ხვნის, თესვის და სხვ. შესრულებული ნორმიათვის. გაუპიროვნების პირობებში ასეთი ანაზღაურება, რა თქმა უნდა, არ უკავშირდება ცენტნერ მიღებულ პროდუქციას. ყოველივე ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის მდგომარეობაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხზე, და მაშასადამე, მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობაზე. შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ასეთი სისტემა არ უწყობს ხელს ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებას.

ამ ნაკლოვანებებს გრძნობენ მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, ეძებენ და პოულობენ წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების უფრო სრულყოფილ მეთოდებს. მათს ინიციატივას ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი და შეძენილი გამოცდილება გამოვიყენოთ სხვა მეურნეობებში, ამასთან გავითვალისწინოთ კონკრეტული თავისებურებანი. ამ საკითხზე საინტერესო წინადადებანი წამოაყენა ცელინოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სამარსკის“ დირექტორმა ი. გ. ლიბობამამ. ეს გამოცდილი დირექტორია. ყამირის ათვისების პირველივე დღიდან მეთაურობს მსხვილ საბჭოთა მეურნეობას, და ყურად უნდა ვიღოთ მისი ხმა. მან წინადადება წამოაყენა, რომ ზოგიერთი სახეობის პროდუქციის წარმოებაში მუშაობა შრომა ნაზღაურდება არა ამა თუ იმ სახეობის შესრულებული სამუშაოსათვის, არამედ წარმოებული ცენტნერი ან ტონა პროდუქციისათვის. ამასთან მიწა უნდა მიუჩინონ ბრიგადებსა და მექანიზებულ რგოლებს. ამ მიწაზე ისინი ასრულებენ ყველა სამუშაოს — ხვნასა და ფარცხვას, კულტივაციასა და დათესვას, ნათესების მოვლას და მოსავლის აღებას. ამასთანავე რაც უფრო მეტია მოსავალი, მით უფრო მეტია ანაზღაურება ცენტნერი მიღებული პროდუქციისათვის.

ასეთი მეთოდის დროს იზრდება თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა პროდუქციის წარმოებისათვის. საჭირო აღარ არის გავუგზავნოთ კონტროლიორი ტრაქტორისტს. ტრაქტორისტი ან ბრიგადირი, რომელიც პასუხს აგებს სამუშაოთა მთელი კომპლექსისათვის, თვითონ არის კონტროლიორი, თვითონ ადევნებს თვალყურს, რათა ყველაფერი გაკეთდეს დროულად და მაღალხარისხოვნად. მას სწორად მიაჩნია, რომ თუ დროულად განხორციელდება სამუშაოები: თესვისწინა დამუშავება, თესვა, თუ მოსავალს უდანაკარგოდ აიღებენ, მაშინ მიიღებს მეტ პროდუქციას მექანიზატორი, მაშასადამე, უზრუნველყოფს თავისათვის უფრო დიდ ხელფასს.

ახლა აგრონომები, მექანიზატორები ჩვენში გაიზარდნენ. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სწორი სისტემის დროს ისინი უზრუნველყოფენ სამუშაოს მაღალ ხარისხს. თანამედროვე პირობებში, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია ბრიგადების სათავეში იდგნენ აგრონომები. ამასთან მხედველობაში მაქვს, რომ აგრონომი კარგად უნდა იცნობდეს ტრაქტორს, შეეძლოს მუშაობა ტრაქტორზე, მაგალითი უჩვენოს ტრაქტორისტს. თუ აგრონომი ტრაქტორზე მუშაობს — ეს პატივს დებს მას.

მე მიამბეს ერთი შემთხვევა ერთ ამერიკელ მეცნიერზე, დიდ სელექციონერზე. საბჭოთა სპეციალისტები მივიდნენ მასთან სასაუბროდ, მათ სთხოვეს ცოტა ხანს დაეცადათ, და ამასთან უთხრეს, რომ სელექციონერი იღებს სასელექციო ნათესების მოსავალს. მალე დაამთავრებს მუშაობას და მაშინ გესაუბრებათო. როცა მეცნიერს ჰკითხეს, რამდენი კაცი მუშაობს მის სასელექციო ნაკვეთზე, მან უპასუხა: მე და ჩემი თანაშემწეო.

ბევრს ჩვენს სპეციალისტს აგრეთვე შეუძლია იმუშაოს და უყვარს მუშაობა. მაგრამ საჭიროა, რომ ანაზღაურების სისტემაც სტიმულს აძლევდეს მას უფრო ნაყოფიერი შრომისათვის, პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. სამწუხაროდ ჩვენში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ითვლიან ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯებს, ნაკლებად აინტერესებთ თავიანთი მეზობლების გამოცდილება, რომლებზეც ხშირად იბეჭდება მასალები ჩვენს გაზეთებში.

ამხანაგებო, არ შეიძლება ასე მოვეკიდოთ მოწინავე გამოცდილებას. ბეჭდოთ სიტყვას. ისევე როგორც თქვენ, მეც ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ ყოველ დღე ვპოულობ დროს, რომ წავიკითხო ხაინტერესო სტატიები, წიგნები, ვნახო კინოფილმები მეცნიერული მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ. ჩვენში ბევრია ნიჭიერი მეცნიერი, სპეციალისტი, პრაქტიკოსი. თავიანთი შრომით და თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით ისინი ამდიდრებენ ჩვენს ცხოვრებას. აძლევენ ბევრს, მნიშვნელოვანს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ხალხს მიერ შეძენილი გამოცდილების უნარიანად გამოყენება დაგვეხმარება წარმატებით განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დიდი გეგმები, რომლებიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა.

მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მეურნეობა „დეკაბრისტის“, საბჭოთა მეურნეობა „ერშოვსკის“, კოლმეურნეობა „რეფლექტორის“ და სხვა მეურნეობათა მუშებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, რომელთა ყანები დავათვალიერეთ, მათი თავდადებული შრომისათვის, იმისათვის, რომ მათ მოიწიე ხორბლისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი, იმისათვის, რომ ისინი დიდი ალფრთოვანებითა და პატრიოტიზმით ასრულებენ სახელმწიფოსადმის მარცვლის მიყიდვის ვალდებულებებს.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ჩვენი კალენდარი ამ დღეებში

ამერიკელთა მორიგი პროვოკაცია და დივერსია

ვიეტნამის სახალხო არმიის სარდლობის წარმომადგენლის განცხადება

ჰანოი, 5 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გვატყობინებს:

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა გუშინ საღამოს შემდეგი განცხადება გააკეთა შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების პროვოკაციული მოქმედების გამო ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში:

უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმა აურზაური ატეხეს ამერიკის საესკადრო ნაღმოსანზე „მედოქსზე“ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ხომალდების ეგრეთ წოდებული „არაპროვოცირებული თავდასხმის“ გამო, სამხედრო-საზღვაო შენაერთია. ფლოტი შეიქმნა 1943 წლის დამდეგს, მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ფლოტის წინააღმდეგ საბრძოლველად წყნარ ოკეანეში. იაპონიის დამარცხების შემდეგ მე-7 ფლოტი მტკიცედ დამკვიდრდა წყლებში, რომლებიც გარს აკრავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ფლოტის ოფიციალური ამოცანაა „დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესები წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში“.

მე-7 ფლოტს შემადგენლობაში შედის 125 საბრძოლო ხომალდი და დამხმარე გემი (მათ შორის 3 ავიამზიდი და 30 საესკადრო ნაღმოსანი), 650-ზე მეტი თვითმფრინავი (მათ შორის თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ატარონ ატომური იარაღი), აგრეთვე საზღვაო ქვეითი ჯარის მსხვილი ნაწილები. ფლოტის პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობა თითქმის 65 ათას კაცს აღწევს.

მე-7 ფლოტი ეყრდნობა სამხედრო ბაზების ფართო ქსელს, რომლებიც განლაგებულია სხვის ტერიტორიებზე. ფლოტის ხომალდები და თვითმფრინავები დაბანაკდნენ ფილიპინებსა და ტაივანზე, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ტაილანდსა და სამხრეთ ვიეტნამში.

ომისშემდგომ წლებში ვაშინგტონმა არა ერთხელ გამოიყენა მე-7 ფლოტი თავისი მიზნების განხორციელებისათვის შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მე-7 ფლოტი დაეხმარა ჩან-კაი-შის რეაქციულ ხროვას გამაგრებულიყო ტაივანზე და მონაწილეობა მიიღო კორეის ომში. 1962 წლის გაზაფხულზე მე-7 ფლოტის ხომალდებიდან ტაილანდის ტერიტორიაზე გადასხეს დესანტი, რათა შეექმნათ პლაცდარმი საომარი ოპერაციებისათვის ლაოსის წინააღმდეგ. მე-7 ფლოტს დიდი როლი აქვს განკუთვნილი ანტიხალხური საიგონის რეჟიმის მხარდაჭერის ამერიკულ გეგმებში.

გასული წლის მიწურულსა და მიმდინარე წლის დამდეგს პენტაგონმა სცადა ინდოეთის ოკეანე შეეყვანა მე-7 ფლოტის მოქმედების რაიონში. ამან გამოიწვია გადამჭრელი პროტესტები ინდოეთში, ცეილონში, ბირმაში, ინდონეზიაში. ამ ქვეყნების საზოგადოებრივმა აზრმა ეს ღონისძიება შეაფასა როგორც შეერთებული შტატების ცდა — ჩაერიონ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და შექმნან დაძაბულობის ოსმიში კერა ამ რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტი

ცნობა

ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტი, რომლის შემადგენლობაში შედის საესკადრო ნაღმოსნები „მედოქსი“ და „ტერნერ ჯოი“, რომლებიც ტონკინის ყურეში პატრულობენ, შეერთებული შტატების უდიდესი „დამკვრელი“ სამხედრო-საზღვაო შენაერთია. ფლოტი შეიქმნა 1943 წლის დამდეგს, მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ფლოტის წინააღმდეგ საბრძოლველად წყნარ ოკეანეში. იაპონიის დამარცხების შემდეგ მე-7 ფლოტი მტკიცედ დამკვიდრდა წყლებში, რომლებიც გარს აკრავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ფლოტის ოფიციალური ამოცანაა „დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესები წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში“.

მე-7 ფლოტს დიდი როლი აქვს განკუთვნილი ანტიხალხური საიგონის რეჟიმის მხარდაჭერის ამერიკულ გეგმებში.

ჯონსონის მიმართვა

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა „სიპასუხო ღონისძიებანი განახორციელეს“ არა მარტო მოწინააღმდეგის ხომალდების წინააღმდეგ ტონკინის ყურეში, არამედ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ „დამხმარე საშუალებათა“ წინააღმდეგაც.

მიმართა რა რადიოთი და ტელევიზიით ამერიკელ ხალხს, ჯონსონმა განაცხადა აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სტევენსონს დაავალა დაუყოვნებლივ მოითხოვოს უშიშროების საბჭოს მოწვევა.

ჯონსონმა ეს განცხადება გააკეთა კონგრესის ლიდერებთან თათბირის შემდეგ.

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ითხოვეს სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წერილობითი თხოვნა უშიშროების საბჭოს მოწვევის შესახებ გაეგზავნა საბჭოს თავმჯდომარეს.

მაკნამარას განცხადება

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ დღეს გააცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალთა ბომბდამშენებმა სერიოზულად დაუზიანეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტორპედიანი კატარღების ოთხი ბაზა და დაანგრიეს ნავთობსაცავი.

მაკნამარამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ დაზიანებული ან გახადგურებულია დაახლოებით 25 კატარღა. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის თვითმფრინავებმა 64 საბრძოლო გაფრენა მოაწყვეს, რომელთა დროს ორი ამერიკული თვითმფრინავი საჰაერო თავდაცვის ეცეცხლით ჩამოაგდეს და ორი თვითმფრინავი კი დაზიანდა.

ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ცნობა

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება:

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის ტორპედოიანმა კატარღებმა მოახდინეს „მეორე შეგნებული თავდასხმა“ ამერიკის ხომალდებზე საერთაშორისო წყლებში ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპიროსთან.

ბრძოლა, რომელიც დაიწყო გუშინ 14 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით, როგორც ჩანს, გაგრძელდა დაახლოებით სამ საათს და, როგორც ვარაუდობენ, ამერიკის საესკადრო ნაღმოსნებმა „მედოქსმა“ და „ტერნერ ჯოიმ“ ჩაძირეს ორი კატარღა და დააზიანეს კიდევ ორი.

ხიროსიმის კონფერენციის რეზოლუცია

ხიროსიმა, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ატომური იარაღის წინააღმდეგ მებრძოლთა ხიროსიმის კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს საგანგებო რეზოლუცია ვიეტნამსა და ლაოსში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ატომური ომის შესაძლებლობის თავიდან აცილებისა და ვიეტნამის და ლაოსის პრობლემათა მშვიდობიანი გადაჭრისათვის ხელის შეწყობის მიზნით კონფერენცია მოითხოვს:

1. სამხედრო ინტერვენცია ვიეტნამსა და ლაოსში უნდა შეწყდეს;

2. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები უნდა გაიყვანონ ვიეტნამიდან და ლაოსიდან;

3. ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჟენევის შეთანხმებებს, სასწრაფო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ეფექტიანი მოლაპარაკების გასამართავად, კერძოდ 14 ქვეყნის კონფერენციის განმეორებით მოსაწვევად;

4. ვიეტნამისა და ლაოსის ხალხებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მშვიდობიანად გადაჭრან თავიანთი პრობლემები თვითგამორკვევის საფუძველზე ისე, რომ არ მოხდეს რაიმე ჩარევა მათ საშინაო საქმეებში.

საგანგებო სხდომა

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დღეს ბანგკოკში გაიმართა სეატოს საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც შეერთებული შტატების დაჟინებული თხოვნით მოიწვიეს.

ბრძოლა გრძელდება

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). მეორე დღეა გრძელდება აჯანყებულებისა და ლეოპოლდვილის არმიის ბრძოლა სტენლივილისათვის — კონგოს აღმოსავლეთ პროვინციის მთავარი ქალაქისათვის. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სტენლივილიდან იუწყება, აჯანყებულებმა ხელი იგდეს არმიის კაზარმები და ამერიკის საკონსულოს შენობასთან გამოჩნდნენ. მათ ცეცხლი დაუშინეს და ჩამოაგდეს ფლაგშტოკი, რომელზეც ამერიკის ალმი ფრიალებდა.

აჯანყებულები ფართო ფრონტით უტევენ. გუშინ საღამოს მათ აიღეს სამხედრო ბაზა, რომელიც ქალაქიდან შვიდ მილზე მდებარეობს. იქიდან „კონგოელი ჯარისკაცები ისე გაიქცნენ, რომ ბრძოლა არც კი გაუმართიათ“.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ბაზის აღებაში მონაწილეობდა სტენლივილის მოსახლეობა.

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). კონგოელ აჯანყებულთა აქტიურმა მოქმედებამ სტენლივილის რაიონში სერიოზულად შეაშფოთა ლეოპოლდვილის მმართველი წრეები. სტენლივილის გარნიზონისათვის დასახმარებლად გენერალმა მობუტუმ სასწრაფოდ გაგზავნა მაძველი ჯარები. სტენლივილში გაგზავნილ ჯარის ნაწილებში არის კატანგის ყოფილ ჟანდარმთა რაზმი, რომელიც ახლა რომბზე მთავრობის დამკვრელ სამხედრო ძალად გადაიქცა.

როგორც კონგოდან მოსული ცნობებიდან ჩანს, ლეოპოლდვილის ხელისუფლებთან ერთად შეშფოთებული არიან მათი ოკეანისაგადმელი მფარველნიც, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ სტენლივილში ლეოპოლდვილიდან სასწრაფოდ გაფრინდა შეერთებული შტატების კონგოს სამხედრო ატაშეს თანაშემწე მაიორი ასბერი. მასთან ერთად სტენლივილში გაგზავნეს სამი სატრანსპორტო თვითმფრინავი „ს-47“.

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იმოწმებს სტენლივილის რადიოს უკანასკნელ ცნობას და იტყობინება, რომ ლეოპოლდვილის მთავრობის ჯარებმა „მოიგერიეს აჯანყებულთა თავდასხმა სტენლივილზე და ქალაქიდან განდევნეს ისინი“.

ზეგავლენის მიუხედავად

მეხიკო, 5 აგვისტო. (საკდესი). მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე გოროსტიზამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მექსიკის მთავრობა უარყოფს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის რეკომენდაციას გაწყვეტოს დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან. მან თქვა: იმ ხელსაყრელ გარემოებათა გამო, „რომლებშიც ვითარდებოდა კეთილმეზობლ ურთიერთობა მექსიკასა და კუბას შორის იმ დროიდან, რაც ეს ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა, და ბევრად ადრეც, რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადაწყვიტა შეინარჩუნოს ჩვენი კონტაქტები კუბის მთავრობასთან იმ სახით, როგორიც ახლა გვაქვსო“.

აგრესიული აქეზი

კაირო, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ იემენის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 28 ივლისს ინგლისის თვითმფრინავმა დაარღვია იემენის საჰაერო სივრცე ჯაბალის რაიონში. ინგლისის ავიაციის მხრივ ეს იემენის საჰაერო სივრცის უკვე მეორე დარღვევაა ივლისში, ხაზგასმულია განცხადებაში.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: იემენის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინგლისელთა ეს აქტები მიაჩნია ცდად, პროვოკაცია მოუწყონ იემენის არაბთა რესპუბლიკას, და აცხადებს, რომ იემენის მთავრობა ინარჩუნებს ყველა კანონიერ უფლებას დაიცვას თავისი უშიშროება და ტერიტორიის ხელშეუხებლობა.

რასისტთა დანაშაული მხილებულია

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა გუშინ ქალაქ ფილადელფიის მახლობლად (მისისიპის შტატი) იპოვეს სამი ადამიანის გვამი, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო. გვამები იცნეს. გამომძიებლებმა რასისტთა კიდევ ერთი საზიზღარი დანაშაული, რომლებთაც ესოდენ მდიდარია ამ შტატის ისტორია. უკანასკნელი კვირების მანძილზე ფილადელფიის მიდამოებში განაგრძობდნენ ნეგრ ამერიკელთა — ზანგთა თავისუფლებისათვის მებრძოლების ძებნას, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ 21 ივნისს. ჯვიმს ჩენი, ანდრიუ გოდმანი და მაიკლ შვერნერი, რომლებიც რასისტებმა დახოცეს, ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ.

გოლდუოტერი კარგავს მომხრეებს

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). კიდევ ერთი რესპუბლიკელი ჩამოშორდა საპარიოდ რესპუბლიკური პარტიის მეომრულ პოლიტიკურ პლატფორმას...

წარმომადგენელთა პალატის წევრმა ნიუ-იორკის შტატისაგან ჯონ ლინდსეიმ განაცხადა: მხარს არ დავუჭერ გოლდუოტერის კანდიდატურას და ვეცდები, რომ ხელახლა ამირჩიონ კონგრესში როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკელი.

უფრო ადრე დ. ჯავიტსმა და კ. კიტინგმა — რესპუბლიკელმა სენატორებმა ნიუ-იორკის შტატისაგან, განაცხადეს აგრეთვე, რომ აშკარა ოპოზიციაში უდგანან გოლდუოტერს.

მეთევზეები გადაარჩინეს

კორეის სახალხო არმიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის თევზსაჭერმა გემებმა გადაარჩინეს 200 სამხრეთკორეელი მებადური და 30 გემი, რომლებსაც თავს დაატყდა უბედურება ყვითელ ზღვაში ტაიფუნის დროს. ყველა გადარჩენილს გაუწევს საჭირო სამედიცინო დახმარებას. მებადურები უზრუნველყვეს ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. მალე ისინი დაბრუნდებიან შინ.

დაიმსხვრა 400-მეტრიანი ანტენა

უცნობი მიზეზების გამო დაიმსხვრა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაგებობა — „ლორანის“ სადგური 400-მეტრიანი ანტენის ანძა ანგლისოგში (გრენლანდიის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო). ეს სადგური, ისევე როგორც მისი მსგავსი სადგურები ისლანდიაში, ფარერის კუნძულებსა და ნორვეგიაში შედის ერთიან სანავიგაციო სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს გემების უსაფრთხო ცურვას და თვითმფრინავებს ფრენას ატლანტიკის ჩრდილოეთ ნაწილში.

ცეცის სანძრევი

სამხრეთ საფრანგეთში მძვინვარებს ტყის ხანძრები. ცეცხლის ალშია გახვეული 3 ათასი ჰექტარი ტყე. მდგომარეობა განსაკუთრებით სერიოზულია ტყის მასივებში მარსელსა და ნიცას შორის, სადაც მეხანძრეთა დასახმარებლად მივიდა ჯარი. მიმდინარე ზაფხულის დამდეგიდან, რომელიც განსაკუთრებით ცხელი, შშრალი და ქარიანია, სამხრეთ საფრანგეთში დაიწვა მრავალი ათეული ათასი ჰექტარი ტყე.

წყალდიდობა

წყალდიდობის შედეგად 100-ზე მეტი სახლი დაიტბორა სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიის ქალაქ კოლიში. ოთხი კვირის მანძილზე ამ რაიონში კოკისპირული წვიმები მოდიოდა. წყალი დაბერვევის საფრთხეს უქმნის პატარა ქალაქ ჰარვის კაშხალს. ქალაქის 2 ათასი მცხოვრები ევაკუირებულია. შეიქმნა წყალდიდობის საფრთხე ქალაქ ბანბერის რაიონში. (საკდესი).

თოვლი ავსტრალიაში

ხანგრძლივი სიცხის შემდეგ პოლონეთში დადგა გრილი „შემოდგომის“ ამინდი. ძლიერი ქარი, კოკისპირული წვიმებით, ყოველდღიური მოვლენა გახდა. პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე მთებში თოვლიც კი მოვიდა. იქ თოვლის საფარი 8-10 სანტიმეტრს აღწევს. (საკდესი).

ამერიკელი რასისტი



„მე მხოლოდ თავს ვიცავდი...“

ნახატი ბიდსტრუპისა.



ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა ლონდონის ამასწინანდელი კონფერენციის დროს აფრიკელი წარმომადგენლები ინგლისისგან მოითხოვდნენ მტკიცე მოქმედებას სამხრეთროდეზიელ რასისტთა ასლაგმავად. როგორ გამოეხმაურა ამას ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დუგლას-ჰიუმი, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გაზეთ „გარდიანის“ მხატვრის კარიკატურის მიხედვით.

ამერიკის ატომური ბომბი კვლავ ხოცავს ადამიანებს

ტოკიო, 4 აგვისტო. (საკდესი). დღეს კიოტოში სხივური დაავადებისაგან გარდაიცვალა კიდევ ერთი იაპონელი ხიფუმი მიძუნო, რომელიც ხიროსიმაში იყო ამერიკის ატომური ბომბის აფეთქების მომენტში.

როგორც გაზეთი „მაინიჩი დეილი ნიუსი“ წერს, ამჟამად იაპონიაში ცხოვრობს 250 ათასი კაცი, რომლებიც ხიროსიმასა და ნაგასაკიში იყვნენ ამ ქალაქების ატომური ბომბების დროს. მათ შორის 5 ათასი დაავადებულია რადიოაქტიური მოსხივების შედეგად. ამ დაავადებებით, აღნიშნავს გაზეთი, ყოველწლიურად კვდება დაახლოებით 100 კაცი. დანარჩენები კი მუდმივ შიშს განიცდიან.

ატომური აფეთქებებით დაზიანებული გაჭირვებულად ცხოვრობენ, ხშირად მათ არ შეუძლიათ მუშაობა ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო. მთავრობა მათ აძლევს უმნიშვნელო დახმარებას. მათგან მხოლოდ ერთ მგსამედს უწევენ სამედიცინო მომსახურებას.

ბაბრინი

ბონი, 4 აგვისტო. (საკდესი). ჰესენის მხარის პროკურატურას, რომელიც აწარმოებს „უგზოუკვლოდ დაკარგული“ ერთ-ერთი მთავარი ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავის მარტინ ბორმანის ძებნის ოფიციალურ საქმეს, განზრახული აქვს განაგრძოს ძებნა და მთავარი ყურადღება მიაქციოს პარაგვაის.

როგორც გაზეთი „გენერალ-ანეიგერი“ აღნიშნავს, ჰესენის მხარის გენერალურმა პროკურორმა ბაუერმა გამოთქვა რწმენა, რომ ბორმანმა ომის დამთავრების წინ შეძლო დამალვა და გაიქცა სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში. როგორც გენერალური პროკურორი აღნიშნავს, ამას მოწმობს უწინარეს ყოვლისა ამ ოთხი პირის ჩვენებანი, რომლებიც ახლა ცოცხლები არიან და მაშინ ახლდნენ ბორმანს, მათ შორის პროპაგანდის ნაციისტური უწყების ყოფილი სტატს-მდივნის ნაუმანის, „ახალგაზრდობის ყოფილი საიმპერიო ხელმძღვანელის“ აკსმანის, აგრეთვე კათოლიკე მღვდლის ჩვენებანი, რომელიც აცხადებს, რომ ამჟამად ბორმანი არის ყოფილი „ნაციონალ-სოციალისტების“ კოლონიაში პარაგვაის დედაქალაქში.

„გენერალ-ანეიგერი“ ხაზს უსვამს, რომ გენერალურ პროკურორს ბაუერს განზრახული აქვს ამჟამად მიაღწიოს იმას, რომ ხელახლა გათხარონ ბორმანის „საფლავი“, რომელიც მდებარეობს 25 კილომეტრზე პარაგვაის დედაქალაქიდან. ამასთან, როგორც დარწმუნებულია გენერალური პროკურორი, იქ, ისევე როგორც ეს იყო „ბორმანის სხვა საფლავებში“, სხვა კაცი წევს.

კვლავ ბორმანი

დავიცვათ და ვამრავლოთ ჩვენი წყლის სიმდიდრეები

იჩუხჩუხოს წმინდა წყალმა

ი. ლაღიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელების — მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების და კულტურის განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ბუნების სიმდიდრეს, მის დაცვას, დაზოგვას და რაციონალურ გამოყენებას.

ჩვენს დროში წყლის რესურსების დაცვა დანაგვიანებისაგან და მათი გონივრული გამოყენება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა, რომელიც არა მარტო ახლანდელი თაობის არამედ მომავალ თაობათა ინტერესებს ეხება. ამიტომ წყლის რესურსების ჩამომდინარე წყლებით გაბინძურების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის ბუნების ყველა სახის რესურსების ზუსტი აღრიცხვა, მეცნიერული დამუშავების საფუძველზე მათი რაციონალური და კომპლექსური გამოყენება.

ბუნება შეიძლება ულეველი იყოს, ამბობდა ვ. ი. ლენინი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი გამოიყენებს მას, დაზოგვით მოეკიდება, ღრმად შეიცნობს მის კანონებს და გონივრულად გამოიყენებს.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობაა გაწეული წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების საქმეში. ბევრ საწარმოში და მსხვილ ქალაქში აშენდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, ხოლო ახლის მშენებლობისათვის მთავრობა ყოველწლიურად ითვალისწინებს მნიშვნელოვან სახსრებს. მაგრამ ღონისძიებები, რომლებიც ამ მიმართულებით ტარდება, საკმარისი არ არის. ზოგიერთი წყალსატევი შეუწყნარებელ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია იმის გამო, რომ მდინარეებში, ტბებში და ზღვებში დიდი რაოდენობით უშვებენ გაუწმენდავ ჩამდინარე წყლებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში წყალსატევების დანაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლის და წყლის რესურსების გამოყენების საკითხები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად არის აღიარებული.

დადგენილია, რომ უახლოეს 20 წელიწადში ხარისხიანი წყლის მოხმარება ბევრად გაიზრდება და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომხმარებელი მრეწველობა იქნება. მაგალითად, ერთი ტონა ვისკოზის აბრეშუმის წარმოებისას საჭიროა 1.200 ტონა წყალი. ერთი ტონა ხელოვნური ბოჭკოსათვის კი 2-3-ჯერ მეტი. წყალი დიდი რაოდენობით იხარჯება მეტალურგიულ საწარმოებში. საამქროებსა და აგრეგატებისათვის მიწოდებული წყლის მოცულობა ჩამოსხმული თუჯის წონას რამდენიმე ათეულჯერ აღემატება.

ტექნოლოგიურ ციკლში რომ მონაწილეობს, წყალი ჭუჭყიანდება სხვადასხვა კომპონენტით და მნიშვნელოვნად იცვლება მისი თვისებრივი შემადგენლობა. წყალსატევის დანაგვიანება რომ არ მოხდეს, ჩამდინარე წყლები უნდა განთავისუფლდეს უცხო შეხარევისაგან, დაუბრუნდეს წყალს ადრინდელი თვისება და ამის შემდეგ იგი ჩაშვებულ იქნას წყალსატევში.

გამწმენდ ნაგებობაში დაგროვილი ჩამდინარე წყლებიდან შეიძლება საგრძნობი რაოდენობით ამოვიღოთ ნედლეული და იგი წარმოებას დავუბრუნოთ. საბჭოთა კავშირის ნავთობგადასამუშავებელი წარმოების ჩამდინარე წყლებს დანაკარგების სახით ყოველწლიურად 200 ათასი ტონა ნავთობპროდუქტები მიაქვს მდინარეებსა და ზღვებში. მცურავი ნავთობპროდუქტები კი წყლის ზედაპირის დიდ ფართობზე ვრცელდება, ზიანს აყენებს თევზის მეურნეობას, ამინძურებს პლაჟებს და ნავსადგურებში ხანძრის საშიშროებას ქმნის.

ფართის ერთეულზე წყლის რესურსების ხელმისაწვდომი მარაგის მხრივ საქართველოს საბჭოთა კავშირში **პირველი ადგილი უჭირავს,** მაგრამ წყლის რესურსები რესპუბლიკაში არათანაბრად არის განაწილებული: დასავლეთ საქართველოში ამ რესურსების სამი მეოთხედი მოდის, აღმოსავლეთ საქართველოში კი—ერთი მეოთხედი, მაშინ როდესაც წყლის მოხმარება პირიქით არის. ამიტომ მკაცრი მოწესრიგება ესაჭიროება არა მარტო ჩამდინარე წყლების წყალსატევებში ჩაშვების საქმეს, არამედ საერთოდ წყლის რესურსებით სარგებლობის საკითხსაც.

უკანასკნელი წლების მანძილზე წყალსატევების გაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა. 1962-64 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები: თბილისში — ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა, ტყვიის ქარხანა № 1, ხორცკომბინატი, ჩაის ფაბრიკები, ახმეტის ჰიდროლიზურ-საფფაირის ქარხანა და სხვა.

რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და გაუვნებლების საკითხებს, დღემდე არ არის დამუშავებული საწარმოო ჩამდინარე წყლებს წყალსატევებში ჩაშვების წინ გაწმენდის პროექტი ქ. თბილისში — ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ტყვიის ქარხანა № 2-ში, ქიმკომბინატში, საპნის ქარხანაში; ქ. ქუთაისში — ავტოქარხანაში, ლითოფონის და ელექტრომექანიკური ქარხნებში; ქ. რუსთავში — მეტალურგიულ და აზოტოვანი სასუქების ქარხნებში; ქ. ბათუმში — კოფეინისა და ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში; ტყვარჩელის, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში და ა. შ.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები წლითიწლობით არ ასრულებენ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმებს, რის შედეგად ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი აუთვისებელი რჩება, ქიმიურდება გამწმენდი ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ხშირად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უხარისხოა, რაც გამწმენდი ნაგებობების კომპლექსის მუშაობის ეფექტურობაზე უარყოფითად მოქმედებს.

მაგალითად, **გორის** ბამბეულის კომბინატის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რომლის ექსპლოატაცია 1960 წელს უნდა დაწყებულიყო, ახლაც არ არის დამთავრებული. ამ ნაგებობების მთავარი კოლექტორი, სამუშაოს უხარისხოდ შესრულების გამო, მთლიან აღდგენას საჭიროებს. ბამბეულის კომბინატის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მუშაობა კი, რომელიც ამავე დროს გორის მთელ რიგ საწარმოებს მოემსახურება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქალაქის ქვემოთ მტკვრის სანიტარულ მდგომარეობას. ქარხანა „ელექტროავტომატის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის საექსპლოატაციოდ გადაცემა გაჭიანურდა იმის გამო, რომ მთელი რიგი სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტმა უხარისხოდ შეასრულა, რის გამო მათ გადაკეთება ესაჭიროება.

შეუწყნარებელი მდგომარეობაა **ქუთაისის** ავტოქარხნის ჩამდინარე წყლების მდინარე ოღასკურასა და გუბის წყალში გაუწმენდავად ჩაშვების გამო, იმ დროს როდესაც აღნიშნული მდინარეები გამოყენებულია სარწყავად. ავტოქარხნის ჩამდინარე წყლება კი დიდი რაოდენობით გაიქეს თბილადგურის ნაცარი და ამით აზიანებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. დღეისათვის ამ მიზეზით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის უვარგისი გახდა 525 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა წყალტუბოს საწარმოო სამმართველოში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქუთაისის ავტოქარხნის ხელმძღვანელობა არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებას ჩამდინარე წყლების მავნე შენარევისაგან გაწმენდისათვის.

ძალიან ბინძურდება მდინარე მტკვარი **რუსთავის** ფარგლებში მეტალურგიული ქარხნის ჩამდინარე წყლებით, რომლებიც შეიცავენ თბილადგურის ნაცარს, ნავთობპროდუქტებს, ფენოლებს და სხვა მავნე მინაერთებს. ამის გამო რუსთავის ქვემოთ მტკვარში თევზჭერა 6-7-ჯერ შემცირდა. საერთოდ ამ უბანზე პირდაპირ საფრთხის წინაშეა თევზის მოშენება-გამოყენების საქმე.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ჩამდინარე წყლები და ნავთობგადასაცლელი ბაზა ისე აბინძურებენ ზღვას, რომ ბათუმიდან ქობულეთამდე გაძნელებულია ზღვაში ბანაობა და პლაჟით სარგებლობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საწარმოებში ჩამდინარე წყლებისა გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისათვის 1963 წელს გათვალისწინებული **1.830 ათასი მანეთიდან ათვისებული იყო მხოლოდ 916 ათასი მანეთი,** ანუ გეგმის 51 პროცენტი. დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 14 ობიექტი ხაცვლად 25-ისა. ჩამდინარე წყლების გაძყნენდ ნაგებობათა მშენებლობა არც 1964 წელს მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.

დროა ბოლო მოეღოს გაბინძურებისაგან წყალსატევების დაცვის შეუფასებლობას. მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოს სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო ობიექტების იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც გაბინძურებისაგან წყალსატევების დაცვის ღონისძიებისათვის გათვალისწინებულ სახსრებს არ ითვისებენ.

საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა არ უნდა მიიღოს განსახილველად და დასამტკიცებლად ისეთი პროექტები, სადაც სრულყოფილად განხილული და გადაწყვეტილი არ იქნება ჩამდინარე წყლების გაწმენდის ღონისძიებები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ეპიდემიური სამსახურის ადგილობრივმა ორგანოებმა მკვეთრად უნდა გააძლიერონ წყლის რესურსების გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა.

საპროექტო ინსტიტუტებმა ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას უურადღებით უნდა შეისწავლონ როგორც პროდუქციის ერთეულზე წყლის ხარჯვის შეძცირების, ისე წყლის განმეორებით გამოყენების შესაძლებლობანი და შეიმუშაონ სრულფასოვანი ღონისძიებები ჩამდინარე წყლების გაუვნებლებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია ჩამდინარე წყლების ბიოდგ-ბიოლოგიური გაწმენდის სამიწათმოქმედო-სარწყავი მინდვრების დიდი პერსპექტიულობა. ჩამდინარე წყლები, როცა ისინი სარწყავად არის გამოყენებული, მცენარისათვის სასურველ ტენს უნახავს ხიდაგს, ნოყიერი ელემენტებით ამდიდრებს მას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მყარ და მაღალ მოსავალს განაპირობებს. საქართველოში ნიდაგ-ბიოლოგიური მეთოდის სარწყავ-მინდვრებზე დანერგვის კარგი პირობებია და ისინი უნდა გამოვიყენოთ.

მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრასთან ერთად მოაწყო ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობათა მომსახურე პერსონალის მოკლევადიანი კურსები. მომზადებულია გამოსაცემად ინსტრუქცია გამწმენდ ნაგებობათა ექსპლოატაციისა და რემონტის შესახებ. იგი ხელს შეუწყობს ჩამდინარე წყლების გაუვნებლებისა ნაგებობათა მომსახურების დონის ამაღლებას. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. **წყლის რესურსების დაცვას გაბინძურებისაგან მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ და კონკრეტულად ხელმძღვანელობდნენ პირველ რიგში წარმოების ხელმძღვანელები.**

ჩვენი წყლის სიმდიდრეების დაცვას სახალხო მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლი მეტად დიდია. უნდა გაუმჯობესდეს საბჭოებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კომისიების მუშაობა, რომლებსაც დავალებული აქვთ ჩამდინარე წყლების გაუვნებლების ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლი. საბჭოებმა უნდა მიიზიდონ ამ საქმეში ფართო მოსახლეობა და ადგილობრივი გაზეთების საშუალებით მოაწყონ წყლის სიმდიდრეთა დაცვის პროპაგანდა.

„ჩვენი ტყეების, თევზის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსები, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე, — უდიდესი ეროვნული სიმდიდრეა. მივდივართ რა წინ კომუნიზმისაკენ, ჩვენ მზრუნველობით უნდა ვეცავდეთ ბუნებას, გონივრულად, ყაირათიანად ვიყენებდეთ მის რესურსებს, აღვადგენდეთ და ვამრავლებდეთ ჩვენი ტყეების, მდინარეებისა და ზღვების ბუნებრივ სიმდიდრეს“.

ბუნება და შრომა — ეს ორი ძალა, ორი ფაქტორი — ქმნიან საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს. მოვუაროთ, დავიცვათ და რაციონალურად გამოვიყენოთ ჩვენი ბუნების მდიდარი რესურსები!

ქოგულეთის საწარმოო სამმართველოს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც გიორგი ღლონტი ხელმძღვანელობს, სამუშაოდ პლანტაციებში გამოსულან საწვიმარებით. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მეჩაიეები ჩაის ფოთოლს სწრაფად კრეფენ. დღიურ გეგმას ორმაგად ასრულებენ.

ბრიგადამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ფოთლის კრეფის სამი თვის გეგმა. ახლა ბრიგადის წევრები იმისათვის იბრძვიან, რომ სეზონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 9 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

* * *

სურათზე: წვიმის დროს პლანტაციებში გასვლის წინ ბრიგადირი გ. ღლონტი (ცენტრში) ესაუბრება მეჩაიეებს.

ფოტო ს. კილაძისა.

საყურადღებო მონოგრაფია

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

გლეხობის საკითხი წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნის, სოციალისტიკისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საერთო საკითხის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

აგრარულ-გლეხური საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლა განსურეულად იყო დაკავშირებული მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან მშრომელთა რევოლუციური განთავისუფლებისათვის საერთო ბრძოლასთან. ამიტომ კომუნისტური პარტია ამ ბრძოლის ისტორიის შესწავლას და მის საფუძველზე ხალხის ფართო მასებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდას უდიდეს ყურადღებას აქცევს.

„ჩვენს ახალგაზრდა თაობას, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — არ გაუვლია ცხოვრებისა და ბრძოლის დიდი სკოლა, რომელიც წილად ხვდა უფროს თაობას. ახალგაზრდა ადამიანები არ იცნობენ რევოლუციამდელი დროის საშინელებასა და უბედურებას და მხოლოდ წიგნებით შეუძლიათ იქონინონ წარმოდგენა მშრომელთა ექსპლოატაციაზე. ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ ახალგაზრდა თაობამ იცოდეს ჩვენი ქვეყნის ისტორია, განთავისუფლებისათვის მშრომელთა ბრძოლის ისტორია, კომუნისტური პარტიის მგმრული ისტორია, ოზრდებოდეს ჩვენი პარტიის, ჩვენი მუშათა კლასის რევოლუციური ტრადიციებზე“.

სწორედ ამ მიზნის ემსახურება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის **ი. მირცხულავას** ახლახან გამოქვეყნებული მონოგრაფია **„აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში“.**

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე, კომუნისტური პარტიის ისტორიული გადაწყვეტილებების, პრესისა და თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის, მდიდარი საარქივო მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე ავტორი მეცნიერულად აშუქებს, თეორიულად განაზოგადებს და ჩვენებს საქართველოს ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიც არის: აგრარული ურთიერთობა და გლეხთა მდგომარეობა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების ბრძოლა აგრარული საკითხის გარშემო რუსეთის პირველ რევოლუციამდე და რევოლუციის პერიოდში, აგრარულ-გლეხური საკითხი 1907-1917 წლებში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს საქართველოში ბევრი მკვლევარი ჰყავს უმთავრესად ეკონომიური ასპექტით, ი. მირცხულავას ვრცელი მონოგრაფია წარმოადგენს დამოუკიდებელ გამოკვლევას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში პირველად არის გაშუქებული და მეცნიერული ანალიზი აქვს გაკეთებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების (ბოლშევიკები, მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები, ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები, კადეტები) აგრარულ პროგრამებს და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე ხაჩვენებია მათ შორის პრინციპული ბრძოლა აგრარული საკითხის გადაწყვეტისათვის.

ნაშრომში აგრეთვე პირველად არის განხილული სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის საქართველოს სპეციფიკურ პირობებში განხორციელების ცდები, მაშინდელი მთავრობის ორგანოებისა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება აგრარულ-გლეხური საკითხისადმი 1907-1917 წლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთოდ ეს საკითხი საქართველოში არსებითად ისტორიკოსთა სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ცალკეული პერიოდების მიხედვით ცდებს სხვადასხვა მონოგრაფიებსა და ნარკვევებში. ამიტომ სარეცენზიო გამოკვლევა 1900-1917 წლებში აგრარულ-გლეხური საკითხის ყველა მხარის ერთ მთლიანობაში შესწავლისა და გაშუქების პირველი სერიოზული ცდაა.

ავტორის უდავო დამსახურებაა ისიც, რომ მას აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში განხილული აქვს არა იზოლირებულად, საერთო პრობლემებისაგან მოწყვეტით, არამედ მთელი რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ მოძრაობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან ორგანულ კავშირში.

მონოგრაფიაში ფართოდ განხილულია ბოლშევიკების აგრარული პროგრამა, რომლის საფუძვლები ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაწარმოებებში.

ვ. ი. ლენინმა გლეხობისათვის „ჩამონაჭრების“ დაბრუნების მოთხოვნა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში აგრარული პროგრამის მონაზიენი ჩამოაყალიბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პირველ პროექტში 1895 წელს და 1898 წელს სტატიაში — „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“. აქ მან მოგვცა აგრარული პროგრამის პრაქტიკული ნაწილის კონკრეტული ფორმულირება, მუშათა და გლეხთა კავშირის ცხოველმყოფელი იდეის გაშლილი დასაბუთება.

მონოგრაფიაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით როგორ შეიმუშავეს, დაიცვეს და განავითარეს ნაროდნიკების, „ლეგალური მარქსისტების“, ესერების, მენშევიკებისა და ყველა ჯურის რევიზიონისტების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტიის აგრარული პროგრამა, რომელიც წარმატებით განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც. ნაშრომში აგრარულ-გლეხური საკითხის განხილვა მთავრდება 1917 წლით. უმჯობესი იქნებოდა კვლევა გაგრძელებულიყო 1921 წლამდე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე.

საქართველოში გლეხობის საკითხის გადაწყვეტის მეცნიერულ გაშუქებას არა მარტო ადგილობრივი, არამედ გარეკვეული საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. ამასთან კარგი იქნებოდა, თუ ავტორი მოგვცემდა ჯეროვან კრიტიკას ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორებისას, რომლებიც „ამტკიცებდნ“, თითქოს ბოლშევიკებს არ ჰქონოდეთ არავითარი აგრარული პროგრამა.

მონოგრაფიის მესამე თავში დაწერილებით განხილულია საქართველოს პოლიტიკური პარტიების ბრძოლა აგრარული საკითხის გარშემო რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში. ეს ძალიან კარგია. მაგრამ აქვე ეხვდებით ზოგიერთ განმეორებას, რაც არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე ენობრივი და კორექტურული ხასიათის შეცდომები. მიუხედავად ამისა ი. მირცხულავას ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ამ წიგნის გამოქვეყნებით სერიოზული სამსახური გაუწია ჩვენს ახალგაზრდობას და აგრარულ-გლეხური საკითხით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

გ. ბრეგაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ი. მირცხულავა. აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964 წ.

სასკოლო მშენებლობა — დამკვრელური უბანი

ოციოდე დღე, და ისევ აწკრიალდება ზარი სკოლებში, კვლავ მოუსხდებიან მერხებს სიცოცხლით სავსე პატარები, ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებლები.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით ბევრმა სკოლამ კარგად მოაწყო სასკოლო შენობისა და დგამ-ავეჯის რემონტი, დროულად მიიღო ზომები ახალი სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების შესაძენად.

ამ მხრივ აღსანიშნავია ხულოს რაიონის ხიხაძირის, შუბნის, უჩამბის; ქედის რაიონის ცხმორისის, მერისის; ქობულეთის რაიონის ხუცუბნის, ქაქუთის, ქალაქ ბათუმის № 7, 11, 18, 18 და 23 საშუალო სკოლების მაგალითი. აღნიშნული სკოლები ყოველმხრივ მზად ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან ქალაქ ბათუმის ის სანრმრდაწესებულებათა კოლექტივები, რომლებმაც შეფობა გაუწიეს სკოლებს. ბათუმის მე-18 და 21-ე საშუალო სკოლებში უკვე დამთავრდა სასკოლო შენობებისა და ინვენტარ-მოწყობილობის შეკეთება. ახალი სასწავლო წლისათვის ამ სკოლების ასე სანიმუშოდ მომზადებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის შეფს — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას (დირექტორი ხ. დოლიძე). სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში ასევე კარგად იმუშავეს შეფმა ორგანიზაციებმა: ტყვიის ქარხანამ (დირექტორი ვ. ჯანიკაშვილი), საზღვაო პორტმა (უფროსი ბ. ლომთაძე), გრეხილი ავეჯისა და საავეჯო ფაბრიკებმა (დირექტორები — ს. მოგსესოვი და გ. ჯობლაძე). მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში შეფი ორგანიზაციების დახმარებითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით აჭარაში აშენდა არაერთი შენობა საშუალო, — 8-წლიანი და დაწყებითი სკოლებისათვის.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საწარმო-დაწესებულებებმა მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს სასკოლო მშენებლობის საქმეში მიმდინარე წელსაც. გარდა ამისა, რომ თანხები გაიღეს, მათ საზოგადოებრივი შრომაც არ დაიშურეს ამ დიდი სახალხო და საშვილიშვილო საქმისათვის. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვას კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ანდრიადი) ერთდროულად ორი სკოლის შენობას აგებს, რომელთაგან ერთი დაეთმობა 8-წლიან სკოლას, მეორე — დაწყებითს. სწრაფი ტემპით აშენებენ ახალ სასკოლო შენობებს აგრეთვე იმავე რაიონის გვარისა და გორგაძეების კოლმეურნეობები, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ქედის რაიონის კოლოტაურის და სხვა კოლმეურნეობები (სულ აჭარაში ამუამად 25 სკოლა შენდება). მიუხედავად ამისა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ხერიოზული ნაკლოვანებებია. ეს ეხება, **პირველ რიგში, არასებული შენობების შეკეთებას და ახლის მშენებლობას.**

ხულოსა და სალიბაურის სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსების დამთავრების ვადა იყო ჯერ კიდევ გასული წლის 20 აგვისტო. ორივე სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსები გათვალისწინებულია 440 მაგვრისათვის (თითეული). იმის გამო, რომ მშენებლები თავიდანვე უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ საქმეს, შედეგიც არასახარბიელოა. № 5 სამშენებლო ტრესტმა არათუ გასულ წელს, ვერც მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულ დროში (10 ივლისი) დაამთავრა და ალბათ ვერც სასწავლო წლის დაწყებამდე დაამთავრებს ხულოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსს, ხოლო სალიბაურის სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსებში ბევრი სამუშაო თავიდან შესასრულებელია უხარისხობის გამო.

დაუშვებლად ჭიანურდება ქედის რაიონის ძენწმანის, აგარისა და ვაიოს 8-წლიანი. აბუქეთის, მერისისა და ზუნდაგის დაწყებითი სკოლებისათვის ახალი შენობების აგება.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ შეაჩერეს მშენებლობა ზუნდაგაში, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ბარშანიძემ გვიპასუხა, როცა მოვიცლით, მაშინ განვაგრძობთ მშენებლობასო. გაკვირვებას იწვევს, რომ მერისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პროფესიით პედაგოგი თ. თურმანიძე გერივით უყურებს სკოლას. აქ ჯერ დაწყებითი სკოლის შენობის საძირკველიც არ ჩაუყრიათ და თავმჯდომარე მაინც იძახის, ახალი სასწავლო წლისათვის მზად იქნებაოს შემოწმების დღეს სკოლისათვის მინაშენებულ ადგილზე მხოლოდ და მხოლოდ ორი მანქანა ხრეში და მდინარის ქვები დაგვხვდა. ეს არის და ეს. საინტერესოა, როგორ მოასწრებენ ამ მოკლე დროში ორსართულიანი შენობის აგებას?

კიდევ უფრო საგანგაშო მდგომარეობაა ქალაქ ბათუმში, სადაც ზოგიერთ სკოლაში მეცადინეობა სამ ცვლად მიმდინარეობს. მიიკოვსკის ქუჩაზე ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო მშენებლობა საშუალო სკოლის ოთხსართულიანი შენობისა, რომელიც გათვალისწინებულია 880 მოსწავლისათვის. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა დაწესებულია 1964 წლის პირველი ნოემბერი. ამ სკოლის შენობას დიდი ისტორია აქვს. მშენებლებმა პირველი სართულის დამთავრება ვერც კი მოასწრეს, რომ კედლებმა ნგრევა დაიწყო, რადგანაც აგური უხარისხო იყო. სამ თვეზე მეტი მოანდომეს აშენებულის დაშლას და ახალი აგურით მშენებლობას (აშენებს მე-5 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველო, რომლის უფროსია ა. ბურბენიძე, ამ უბნის სამუშაოს მწარმოებელია შ. შანიძე). უკანასკნელ 6 თვეში ნაცვლად 267,4 ათასი მანეთისა მშენებლებმა ითვისეს 113,9 ათასი მანეთი. ესეც მუშაობის დაბალ ტემპს მოწმობს. ასევე იშლება ენგელსისა და პუშკინის ქუჩებზე დაწყებითი სამავშვო ბაღების, აწესების 8-წლიანი სკოლის, ნავთობბაზის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღის მშენებლობის ვადები.

წლების განმავლობაში ჭიანურდება ქობულეთის რაიონის ურეხის საშუალო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა და ქედის რაიონის მახუნცეთის საშუალო სკოლის სასპორტო დარბაზის გადახურვა. უხარისხოდ შეკეთდა სასკოლო შენობები — ქედის რაიონის პირველი მაისის საშუალო და მახუნცეთის სკოლა-ინტერნატი...

ნაკლოვანებებია მასწავლებლებისათვის ბინების მშენებლობაში. ჩამოსულ მასწავლებელთა 80 პროცენტი დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სკოლების სათბობით უზრუნველყოფის საქმეში ხულოს, ქედისა და ქობულეთის რაიონებში. ასევე ჩამორჩა სასკოლო ინვენტარის დამზადება, სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლების დროულად მომარაგება. მაღალმთიანი ხულოსა და ქედის რაიონების ზოგიერთ სკოლას აკლია რუსული, უცხო ენების, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტები, რის გამო აღნიშნულ საგნებს წინა წლებში ასწავლიდნენ სხვა დარგის პედაგოგები.

ნაკლოვანებები და ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ზოგან კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ სასკოლო მშენებლობაზე, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების, სკოლების სათბობით უზრუნველყოფის საქმეში, ხოლო სასოფლო საწარმოო პარტიული კომიტეტები, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო ყოველთვის არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

გული გტკივა კაცს: ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დრო ცოტა დარჩა, გასაკეთებელი კი ბევრია.

რ ე ი ნ ი ს მ ო ნ ა ყ ო ლ ე ნ ი: ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე — ქედის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი; **ვ. თ ა ვ ა რ თ ა ქ ი ლ ა ძ ე** — ხულოს რაიონის განათლების განყოფილების შეთოდკაბინეტის გამგე; **ზ. კ ო მ ა ხ ი ძ ე** — პარტიის



მოძმე აზერბაიჯანში

სოფლის ძალა ერთობაშია

ოცდაათმა ახალმა საცხოვრებელმა სახლმა დაამშვენა გადრუტის რაიონის სოფელ ტუგის ქუჩები. კოლმეურნეობა „ოქტომბერში“ საცხოვრებელი ბინების მშენებლობა გრძელდება. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ათეული კოლმეურნის ოჯახი შესახლდება კეთილმოწყობილ ბინებში.

ამ შორეული სოფლის მცხოვრებლებს შესანიშნავი თვისება აქვთ, რომელიც ოქტომბერთან ერთად დაიბადა — მოიქცეს ისე, რომ ყველა, თვითეული ბედნიერი იყოს.

რამდენიმე დღის წინათ 50 კოლმეურნე დილიდან მივიდა ნაკვეთზე, სადაც მათი თანასოფლელის მეცხოველე ქ. იუსუფოვის ოჯახისათვის შენდება სახლი. კვირეულის მონაწილეთა უმრავლესობა უკვე დიდი ხანია ახალ კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობს, ახლა მათ სხვა საზრუნავი აქვთ, — მოეხმარონ იმ მეზობლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ძველ ბინებში ცხოვრობენ.

მასობრივი კვირეულები ტრადიციად იქცა, სოფლის მოედანზე შენდება სამსართულიანი კულტურის სასახლე, რომლის მაყურებელთა დარბაზი 400 კაცს დაიტევს. აქ იქნება ოთახები თვითმოქმედი კოლექტივების მეცადინეობისათვის, ბიბლიოთეკა და სხვ. მშენებლობის დაჩქარების მიზნით კოლმეურნეებმა უკვე რამდენიმე კვირეული მოაწყეს.

თანასოფლელები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე გზების მშენებლობაში, გამწვანებაში, ახალმშენებლობათა ირგვლივ ბაღების გაშენებაში.

მედლები ენერგომშენებლებს

ამას წინათ ალიბაირამლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი რიგის მოწყობილობის საუკეთესო მემონტაჟეთა ერთ ჯგუფს გადაეცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე

□ **ხუთი წლის წინათ „ჩრდილოეთ“ თბოელექტროსადგურზე** გაიხსნა ბაქოს ენერგეტიკის ტექნიკუმის ფილიალი. ასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღო საშუალო სპეციალური ტექნიკური განათლება. **ახლა ტექნიკუმის ფილიალში 42 სტუდენტი სწავლობს.**

□ **ყველა აზერბაიჯანის საკურორტო ადგილებში გაიხსნა 84 ახალი პიონერული განაკი, სადაც ზაფხულის განმავლობაში 42 ათასი ბავშვი დაისვენებს.**

□ **ბაქოს** ელექტრომანქანათა მშენებლობის ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. საწარმოს პროდუქცია არა მარტო სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში, არამედ მსოფლიოს 40 ქვეყანაში გიგზავნება. ქარხნის ნაწარმის მუდმივი მომხმარებლები არიან ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ალჟირი, კუბა, ინდოეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა.

□ **აზერბაიჯანში შეიქმნა რესპუბლიკის მათემატიკური საზოგადოება, რომლის პრეზიდენტად არჩეულია აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ჯავადოვი.**

ლამაზია აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო. ამ სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი ცენტრალური უბანი.

ფოტო ვ. კალინინისა.

საინტერესო შეხვედრათა კლუბი

საბოცდახუთი ფილიალი აქვს გახსნილი შაუმიანის სახელობის კულტურის სასახლის ბიბლიოთეკას ბაქოს ნავთობგადასამუშავებელ ქარხანასა და ბაქოს სხვა საწარმოებში. ეს ფილიალები ბიბლიოთეკის თანამშრომლების ინიციატივით შეიქმნა. ბიბლიოთეკის მოძრავ ფილიალებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ მუშები, ოსტატები, ინჟინრები. მარტო ბაქოს სკკპ XII ყრილობის სახელობის ნავთობდასამუშავებელ ქარხანაში შექმნილია 12 ასეთი სამკითხველო.

ბევრს აკეთებს ბიბლიოთეკა და მისი აქტივი ტექნიკური ცოდნის პროპაგანდისათვის. კულტურის სასახლეში, მუშათა საერთო საცხოვრებლებში მოეწყო შეხვედრები მეცნიერებთან.

ბიბლიოთეკა საინტერესო შეხვედრათა ნამდვილ კლუბად გადაიქცა. აქ ხშირი სტუმრები არიან მწერლები, წარმოების მოწინავენი, რაციონალიზატორები, გამომგონებლები.

შაუმიანის სახელობის კულტურის სასახლის ბიბლიოთეკის მუშაკთა ეს ენთუზიაზმი მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ და რეკომენდაცია მისცა ამ მეთოდის უფრო ფართო გავრცელებას.

გუშინ თბილისს საოპერო თეატრმა გასტროლები დაამთავრა მოსკოვში

გულითადი მადლობა

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმატებით დაამთავრა თავისი გასტროლები მოსკოვში. 21 დღის განმავლობაში დედაქალაქის ასი ათასზე მეტი მაყურებელი გაეცნო თბილისის თეატრის 8 სპექტაკლს, რომელთა შორის იყო ქართველ, რუს და დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ქვემოთ გბეჭდავთ „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტის საუბრებს თეატრის დირექტორთან და მაყურებლებთან. მათში ლაპარაკია საგასტროლო შთაბეჭდილებებზე.

ა. ჩიმპაკაძე — თეატრის დირექტორი, კომპოზიტორი: არაჩვეულებრივად მაღალი შემოქმედებითი განწყობილება სუფევდა გასტროლების მანძილზე მთელ თეატრალურ კოლექტივში. მაღალ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ არა მარტო სოლისტები, არამედ ყველა მუშაკი — გუნდისა და ორკესტრის მსახიობები, მთელი ტექნიკური პერსონალი. თვითეული სპექტაკლისათვის ისე ვემზადებოდით, როგორც პრემიერისათვის.

მაღალმომთხოვნ და გულითად მოსკოველ მაყურებლებთან შეხვედრამ თეატრის კოლექტივი მომავალ სეზონში ახალი შემოქმედებითი მუშაობისათვის დარაზმა.

ა. ალიშა — მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი: მთელი ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მინდა გულითადი მადლობა მოვახსენო ქართველ მსახიობებს დიდი და ლამაზი ხელოვნებისათვის.

თეატრის მსახიობთა სტუმრობა ჩვენს ქარხანაში და სახელდახელო კონცერტი ქარხნის ეზოში ყოველ ჩვენგანს სასიამოვნო მოგონებად დარჩება.

კვლავაც და კვლავაც მოხსარული ვიქნებით ჩვენი სტუმრობისა. ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

ა. ხაჩანოვი — მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი: ზ. ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ისევე ძვირფასი და საყვარელი გახდა ჩვენთვის, როგორც მ. გლინკას ნაწარმოებები.

ამ ოპერებმა, აგრეთვე „ფაუსტმა“ და „სემიონ კოტკომ“ ნათელი წარმოდგენა შეუქმნა მოსკოველებს თბილისის თეატრის შემოქმედებითს მუშაობაზე.

სამკვირიანი გასტროლები, რომელმაც ნათლად გვიჩვენა თეატრის მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ს. შაპოშნიკოვი — მოქანდაკე: მდიდარმა და მრავალფეროვანმა რეპერტუარმა საშუალება მოგვცა საკმაოდ სრულად გავცნობოდით საქართველოს საოპერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევებს.

პირადად მე სამუდამოდ ჩამრჩება მეხსიერებაში ზაქარია ფალიაშვილის ოპერების დიდებული მელოდიები, რომლებისთვისაც კომპოზიტორს მაცოცხლებელ წყაროდ შემოქმედებითად გამოუყენებია ქართული მუსიკალური ფოლკლორი, აგრეთვე — საბალეტო სპექტაკლები. თვითეული მათგანი ქორეოგრაფიული ხელოვნების ნამდვილი ზეიმი იყო.

დიდი მადლობა, მეგობრებო!

დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელი კოლექტივი საგასტროლოდ მიემგზავრება სოჭში, სადაც პირველი სპექტაკლი 9 აგვისტოს გაიმართება.

თქვენთვის, მეგობრებო!

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე ახლახან დამთავრდა 24-ბინიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. „საქვაჭრობის“ ზესტაფონის განყოფილებამ სახლის პირველ სართულზე გახსნა უნივერსალური მაღაზია.

ხაშური ხარაჩოები მოხსნეს ორ მრავალსართულიან სახლს. ორიოდე დღის წინათ ერთ-ერთ მათგანში შესახლდა სალოკომოტივო, სავაგონო დეპოების მოძრაობისა და სხვა დარგების 24 მუშაკის ოჯახი.

მოგინადრითა მისალ ე ბ ა დ მზად არის კიდევ ერთი ოთხსართულიანი სახლი კეთილმოწყობილი ბინებით 32 ოჯახისათვის.

აქვე ახლოს მიმდინარეობს მესამე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სადაც რკინიგზელებს მიეცემათ ბინები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47 წლისთავისათვის.

დ. ფარეზეშოვი.

ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ამას წინათ გაიხსნა სასურსათო და სამეურნეო საქონლის მაღაზიები, რომლებიც, გარდა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისა, მომსახურებას ახლო სოფლების მცხოვრებლებსაც გაუწევენ.

ვ. ცოფაია.

ოსტატი თვალის შუქისა

□ **ახალგაზრდა ექიმის გმირობა**

□ **შექმნილია თვალის ხელოვნური ბროლი**

თოთხმეტი წლის საში უსინათლო იყო. სპეციალისტებმა ასეთი დიაგნოზი დასვეს: მისი თვალების ბროლებში სინათლე ვერ ატანდა.

საშა სოფლიდან ჩაიყვანეს ჩუვაშეთის დედაქალაქში, თვალის სნეულებათა ჰელმჰოლცის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩებოქსარის ფილიალში. ინსტიტუტის წყნარ კორიდორებში ავადმყოფები ისხდნენ. მათ დახმარებას დაჰპირდნენ... ავადმყოფობის მიზეზი ბევრ შემთხვევაში ერთი და იგივეა — გაბუნდოვნებული ბროლი, მაგრამ როგორ უნდა დაუბრუნდეს ამ გასაოცარ ბუნებრივ ლინზას მისი გაშვენებულობა? ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა ექიმს სვიატოსლავ ფედოროვს...

სვიატოსლავი ეძიებდა, ექსპერიმენტებს აწარმოებდა. ფიქრით ძიებას მაშინაც არ წყვეტდა, როცა ქუჩაში მიდიოდა, ავტობუსის გასაჩერებელთან იდგა, ნაცნობებს ელაპარაკებოდა.

სხვადასხვა ქალაქებში და სხვადასხვა ქვეყნებშიც კი ადამიანები ცდილობდნენ ამოეხსნათ ეს ამოცანა. ამ ამოცანაზე მოსკოვში მუშაობდა ახალგაზრდა ქირურგი მიხეილ კრასნოვი, კუიბაშევში — სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგე ტ. ეროშევსკი, ჩეხოსლოვაკიაში — აკადემიკოსი ვიხტერლე... მათ მალე შეატყეს ერთმანეთის ამბავი. დაიწყო კვლევის შედეგების გაცნობელებული გაცვლა ურთიერთშორის.

ერთხელ კრასნოვმა შეძლო გაეკეთებინა მეტად გაბედული ოპერაცია. მან ავადმყოფს თვალში გადაურგო ხელოვნური ბროლი, რომელიც სპეციალური მინებიან უძლიერესი ნიჩბოსნები. ჰოლანდიის პრესა აღნიშნავს, რომ მწვავე ბრძოლა გაიმართება ყველა გაცურვაში, რომლებშიც — ევროპის ჩემპიონატის სტუმართმოყვარე ტრადიციით — მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ევროპელ ნიჩბოსანთა ძირითადი მოწინააღმდეგეები ოლიმპიადაზე — ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები.

საბჭოთა ნიჩბოსნები გამოვლენ წელიწადების მთელი პროგრამით. ერთობითნით — მსოფლიო და ორი ოლიმპიადის ჩემპიონი მოსკოველი ვ. ივანოვი. წყვილნიჩბიანი ორიანით — მოსკოველები ო. ტიურინი და ბ. დუბროვსკი, უმესაკო ორიანით — ლენინგრადელები ო. გოლოვანოვი და ვ. ბორეიკო, მესაკიანი ორიანით — მოსკოველი ლ. რაკოვშჩიკი და დონის როსტოველი ნ. საფრონოვი, უმესაკო ოთხიანით — „ყაზგრირასის“ გუნდი, მესაკიანი ოთხიანით — ნაკრები გუნდი და რვიანით — საზოგადოება „ყაზგრირასის“ გაძლიერებული გუნდი.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება რვიანთა რბოლა: სეზონში პირველად ხვდებიან ერთმანეთს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები — გერმანელი სპორტსმენები და მსოფლიო და ევროპის ბოლო ჩემპიონატთა ვერცხლის პრიზიორები — საბჭოთა ნიჩბოსნები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ჰელსინკის რეგატაში.

...ასპარეზობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე ცნობილი გახდა, რომ ევროპის 1965 წლის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში (ქალთა და ვაჟთა) გიმართება დუისბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ტრადიციისამებრ კვლავ აგვისტოში.

კიროვაბადელ იუსუფ-ყიშის, მსუბუქი ტაქსის მძღოლს სამუშაოსაგან თავისუფალი დღე ჰქონდა. შეიხედა გარაჟში, გაესუფთავა ამბანაგებს, იყიდა რამდენიმე გაზეთი და კითხვას შეუდგა...

იუსუფ-ყიშიმ ძნელი ცხოვრების გზა გაიარა. რევოლუციამდე ივი ლუკმაპატრის, სამუშაოს საშოვნელად დადიოდა სოფლიდან სოფელში. უნდა ეთქვა: ასე ცხოვრობდნენ მისი წინაპრები.

— რაზე ფიქრობ, იუსუფ? — ჰკითხა ერთხელ ცოლმა.

— აი წავიდნენ შვილები, ჩვენ კი მარტონი დავრჩით.

— მაგრამ ასეთი შვილებით უნდა ვიამაყოთ.

დიახ, ეს ასეა. უბრალო მძღოლმა მართლაც უნდა იამაყოს ყველაფრით, ქალიშვილებით, ხელისუფლებით.

იუსუფს ოთხი ქალიშვილი ჰყავს. უფროსმა, სალამაზმა, მ. ფ. ახუნდოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და რუსულ ენას ასწავლის სკოლაში. მომდევნო, ფიზიკა, ინჟინერია, სპროექტო ბიუროში მუშაობს. მესამე, ემილია, ისტორიკოსია, ასპირანტურაში სწავლობს, უმცროსმა ქალიშვილმა, ელზამ, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და კიროვაბადში მუშაობს ბავშვთა ექიმად.

ამას წინათ სამსახურიდან დაბრუნებულ იუსუფ-ყიშის ეზოში შეესალისთანავე შემოეხვივნენ შვილიშვილები. ბაღეშვების მხიარული კისკისი ისმოდა ჰეეთ-ეზედან.

— ბაბუა, ბაბუა, — ყვიროდნენ ისინი.

ერთდროულად მათი შეკრება მართლაც ძნელია. მაგრამ ამჯერად ოთხივე ქალიშვილი მოვიდა და ბავშვებიც მოიყვანეს. ამ დღეს იუსუფ-ყიში ძალიან ბედნიერი იყო.

სტუმრები ფილმებს იღებენ

ბათუმი. (საკ. კორ.). **რამდენიმე დღე დაჰყო ბათუმში ჩეხოსლოვაკიელ ტურისტთა ჯგუფმა.** ისინი შვებულებას ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ატარებენ. ბათუმში ყოფნის დროს ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის ბავშვთა და ახალგაზრდობის გადაცემათა რედაქციის მთავარმა რედაქტორმა ვოლფ მილოშმ და პრაღის კინოსა და ტელევიზიის ინსტიტუტის დოცენტმა, ოპერატორმა ლუდვიგ ბარანმ გადაწყვეტეს გადაეღოთ ორი მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი.

— პირველ სატელევიზიო ფილმს, — გვითხრა ვოლფ მილოშმ, — ეწოდება „მარგალიტის მაძიებლები“. მისი კადრები მაყურებელს მოუთხრობენ შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე უველაზე სამხრეთი ქალაქის ეგზოტიკაზე, მის საოცარ მცენარეულობაზე, არქიტექტურაზე, სადამოს ბათუმის ილამაზეზე.

ტელევიზიის მუშაკებმა გადაიღეს ბათუმის პარკები, ზღვისპირა პლაჟი, ვაზნი და ვარდებით შემკობილი სახლების აივნები. გეგმები „ლევოი“, „ადმირალი ნახიმოვი“, „სვანეთი“, ბოტანიკური ბაღისა და ციხისძირის ულამაზესი მიდამოები, ი. ფუჩიკის სახელობის № 15 საშუალო სკოლა.

— მეორე სატელევიზიო ფილმში გვსურს ავსახოთ საბჭოთა ადამიანების შინაარსიანი შრომა და ცხოვრება, — განაგრძო საუბარი ვოლფ მილოშმ. — ფილმი მიეძღვნება ქართულ ჩაის. კინოკადრებზე ჩეხოსლოვაკიელმა კინოდოკუმენტალისტებმა აღბეჭდეს ჩაის ფოთლის კრეფა ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ფილმში დიდი ადგილი დაეთმობა ჩაის ფრონტის გვარდიელებსა და ქართული არომატული ჩაის მიღების პროცესებს.

ხოვლეს სამკურნალო წყლები

სოფელ ხოვლეს (მცხეთის რაიონი) სამკურნალო მინერალური წყალი საუკეთესო საშუალებაა ნერვული სისტემის, გულისა და სისხლძარღვთა სისტემისა და კანის დაავადებათა სამკურნალოდ.

ავადმყოფები აბაზანების მიღების შემდეგ თავს შესანიშნავად გრძნობენ.

ხოვლე მალე ჩადგება დიდმნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური კურორტების რიცხვში.

ი. ტურაშვილი.

ცსკა-ს რევანში

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 4:1 (2:1). მოსკოვი. 5 აგვისტო. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი.

„დინამო“ — კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტოფველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი; ცსკა — ბაუეა, პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრინი, სემიგლაზოვი, მანოშინი, ბასალიკი, დოროდნინი, ფედოტოვი, კაზაკოვი, პოლიკარპოვი.

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თბილისის „დინამოსა“ და ცსკა-ს პირველი წრის მატჩი თბილისში და მისი შედეგი — 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამიტომ ბუნებრივია, ცსკა-სათვის მეორე წრის პაექრობა რევანშის ხასიათისა იყო.

შედგა თუ არა ეს რევანში? — შედგა.

როგორ წარიმართა ბრძოლა?

დასაწყისი არმიელ ფეხბურთელებს კარგს არაფერს უწინასწარმეტყველებდა. დინამოელებმა აიწყვეს თამაში და კარის აღების არა ერთი შესაძლებლობა შექმნეს.

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-18 წუთზე. პეტრიაშვილის მიწოდებით წინ გაიქცა მეტრეველი და კარის გასწვრივ ჩაწოდა. იქ ორი მცველის წინ აღმოჩნდა იამანიძე, მან მოახერხა ორივეს მოტყუება და ძლიერი დარტყმით ბურთი ცსკა-ს კარში მოათავსა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ თუ რა მოუვიდათ დინამოელებს, კერძოდ მცველებს და მეკარეს ძნელი გასაგებია. თითქმის ერთბაშად მოიშალა უკანა ხაზები, შეცდომას შეცდომა მოჰყვა, ამას პენიკაც დამატება და პირველ ტაიმში კოტრიკაძეს ორჯერ მოუხდა საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა. გოლების ავტორები იყვნენ ფედოტოვი და პოლიკარპოვი.

მოსალოდნელი იყო დინამოელები ძალებს მოიკრეფდნენ, სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მეორე ნახევრის დასაწყისში მათ დამატებით ორი ბურთი მიიღეს.

არმიელები ჩინებულად იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა ასპარეზობაშიც წარმატება ცსკა-ს ხვდა 1:0.

* * *

ქუთაისის ტორპედოელები ზედიზედ ორი წარუმატებლობის შემდეგ კიევს ეწვევნენ და გუშინ მეორე წრის შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივთან.

თავიდანვე იგრძნობოდა დინამოელთა გარკვეული უპირატესობა. განსაკუთრებით კარგად შოქმედებდნენ მათი თავდასხმელები და ნახევარმცველები. თამაში მიიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:0 (0:0). ბურთები გაიტანეს კანევსკიმ, ვერიგინმა და ბიბამ.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

ნიჩბოსანთა ასპარეზობა

ამსტერდამი, 5 აგვისტო. (საკდესი). „ოლიმპიურ ორბიტაზე“ გამოჩნდა კიდევ ერთი ჩემპიონატი ევროპის პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში. 20-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენებს ამსტერდამში შეუძლიათ დაიკავონ კონტინენტის ახალი ჩემპიონის შვიდი ვაკანტური ადგილი და შესაძლებლობა აქვთ 6-დან 9 აგვისტომდე მოსინჯონ მოწინააღმდეგეთა ძალები ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის წინ.

ყველაფერი მზად არის სტარტისათვის ბოსბაანის ცნობილ ხელოვნურ არხში, რომელიც გათხრილია ამსტერდამის განაპირა პარკში. სხვათა შორის, აქ, ამსტერდამში, უკვე შეხუთედ იკრიბებიან ოლიმპიადის ნიჩბოსნები. ჰოლანდიის პრესა აღნიშნავს, რომ მწვავე ბრძოლა გაიმართება ყველა გაცურვაში, რომლებშიც — ევროპის ჩემპიონატის სტუმართმოყვარე ტრადიციით — მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ევროპელ ნიჩბოსანთა ძირითადი მოწინააღმდეგეები ოლიმპიადაზე — ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები.

საბჭოთა ნიჩბოსნები გამოვლენ წელიწადების მთელი პროგრამით. ერთობითნით — მსოფლიო და ორი ოლიმპიადის ჩემპიონი მოსკოველი ვ. ივანოვი. წყვილნიჩბიანი ორიანით — მოსკოველები ო. ტიურინი და ბ. დუბროვსკი, უმესაკო ორიანით — ლენინგრადელები ო. გოლოვანოვი და ვ. ბორეიკო, მესაკიანი ორიანით — მოსკოველი ლ. რაკოვშჩიკი და დონის როსტოველი ნ. საფრონოვი, უმესაკო ოთხიანით — „ყაზგრირასის“ გუნდი, მესაკიანი ოთხიანით — ნაკრები გუნდი და რვიანით — საზოგადოება „ყაზგრირასის“ გაძლიერებული გუნდი.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება რვიანთა რბოლა: სეზონში პირველად ხვდებიან ერთმანეთს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები — გერმანელი სპორტსმენები და მსოფლიო და ევროპის ბოლო ჩემპიონატთა ვერცხლის პრიზიორები — საბჭოთა ნიჩბოსნები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ჰელსინკის რეგატაში.

...ასპარეზობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე ცნობილი გახდა, რომ ევროპის 1965 წლის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში (ქალთა და ვაჟთა) გიმართება დუისბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ტრადიციისამებრ კვლავ აგვისტოში.

„კომუნისტის“ სპორტი

ვინ მოიპოვებს „ერთა ნადავლს“?

ვარშავა, 4 აგვისტო. (საკდესი). 67 ავტომანქანიდან, რომლებიც ბელგრადიდან, ბერლინიდან, კოპენჰაგენიდან, ნიურნბერგიდან, ვარშავიდან გაემართნენ და მონაწილეობდნენ ტრადიციულ ავტორალ „პოლონეთში“, კრაკოვამდე მიაღწია მხოლოდ 24 ავტომანქანამ. ეს არის პოლონელთა თერთმეტი ეკიპაჟი, ოთხ-ოთხი სსრ კავშირიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ორი შეეკიდან და თითო იტალიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და დანიიდან.

შეჯიბრების პირველი ეტაპი წარმატებით დაამთავრეს საბჭოთა მრბოლელებმა, რომლებმაც მეორე ადგილი დაიკავეს პოლონეთის გუნდის შემდეგ. ხუთი საბჭოთა მანქანიდან ფინიშამდე ვერ მიეიდა მხოლოდ ერთი. პირად ჩათვლაში 1600 კუბური სანტიმეტრის კლასის მანქანებში საუკეთესო იყო მოსკოველი ე. ლიფშიცი.

შეჯიბრების მეორე ეტაპია 2000 კილომეტრი სამხრეთ პოლონეთის გზებზე. ტრასის ცალკეული უბნები გადის კარპატის მთის გზებზე. სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე წრიულ რბოლებში (კრაკოვი) და საავტომობილო სლალომში (ზაკოპანე).

„პოლონეთის“ რალი შეაჯამებს ავტომობილისტთა საერთაშორისო გუნდურ ასპარეზობას „ერთა ნადავლის“ პრიზზე.

ჟურნალისტთა ასოციაციის ... ...